ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 28 ივნისი, 2021 | №115 (8644) | ფასი: 60 თეთრი

8 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის სამეგრელოში მამა-შვილი დააკავეს

სოფლის მოსახლეობამ მათ სახლი გადაუწვა

დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ

გვ.5

„სააკაშვილს მეწყვილედ გახარია არ სჭირდება“

სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია არჩევნებისთვის, პრაქტიკულად, არ ემზადება“

გვ.4

„არასამთავრობოების დიდი ნაწილი მიკერძოებულია“

გვ.2

ნინო წილოსანი: „ვიცით, ვისაც აწყობდა დამონებული სასამართლო. ენმ-ის დროს ვერც შევადარებდი“

„სააკაშვილის მიზანია, ივანიშვილის ოპოზიციად დარჩეს“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნების“ ჩამოშლა მხოლოდ გახარიას შეუძლია“

„მელიასა და გახარიას გასუპერმეგობა რუსეთის მოფიქრებულია“

გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „მომავალ წელს ვადამდელი არჩევნები 43%-ის გარეშეც გარდაუვალია“

შინაგან საქმეთა მინისტრს ბრიტანულ ხომალდზე უმასპინძლეს

გვ.5

ISSN 1987-9385

3 თბილისში მამა საკუთარ გოგონაზე 4 წელი ძალადობდა

2 გურიის გუბერნატორი გიორგი სახოკია მოხსნეს

3 გახარიას პარტიას ბათუმის ოფისიდან აგდებენ

5 სტრასბურში ქართულ-სომხური მაფიის წევრები დააკავეს

6 ინგლისის ჯანდაცვის მინისტრი მეთ ჰენკოკი თანამშრომლის კოცნის გამო გადადგა

„არასამთავრობოების დიდი ნაწილი მიკერძოებულია“

ნინო წილოსანი: „ვიცით, ვისაც აწყობდა დამონებული სასამართლო. ენმ-ის დროს ვერც შევადარებდი“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ არ აჩერებს მოსამართლეების უზენაესში გამწესებას „ქართული ოცნება“? რა პასუხი აქვთ დასავლელი პარტნიორებისა და სამოქალაქო სექტორის მწვავე კრიტიკაზე? შეხვდებიან თუ არა არასამთავრობოებს ამ საკითხზე მეტი ინფორმაციის მისაწოდებლად? რა პასუხი აქვს ბრალდებებზე, რომ მმართველ გუნდს სასამართლო არჩევნების კონტექსტშიც სჭირდება და რატომ ახსენდებათ კონკრეტული ინიციატივები არჩევნების წინ? — აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი ნინო წილოსანი საუბრობს.

ნინო წილოსანი:

– მოსამართლეების უზენაესში გამწესების თემაზე პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ძალიან მკაფიო და სრულყოფილი განმარტებები გააკეთა. რამდენიმე საკითხს დაგისახელებთ, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ პროცესი გავაგრძელოთ და არ შევაჩეროთ. შარლ მიშელის დოკუმენტში ამ საკითხის მოხვედრამდე ჩვენი მხრიდან შესრულდა ვენეციის კომისიის ძირითადი რეკომენდაციების შესრულება და ეს ყოველივე აისახა კანონში – გამჭვირვალობასთან, არჩევის წესთან და ყველა იმ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით, რომლებზეც იქამდეც იყო საუბარი.

იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტის მიღება ცვლილების გარეშე გვინდოდა, სიტყვიერი მოლაპარაკება შედგა, რომ ის განახლებული კანონმდებლობა, რომელიც მოსამართლეების არჩევის წესს ეხებოდა, სრულებით იყო მისაღები და, ვფიქრობ, შარლ მიშელის დოკუმენტის სულისკვეთებასთან სრულად ვჯდებით.

– ვისთან იყო ეს მოლაპარაკება?

– სადაც მოლაპარაკებები წარმოებდა, იმასთან.

– შარლ მიშელის მოლაპარაკებების ფორმატში?

– დიახ და ამის შესახებ განაცხადა ირაკლი კობახიძემ. მე არ ვესწრებოდი ამ მოლაპარაკებებს, ამიტომ პირველ პირში ვერ ვილაპარაკებ. თუმცა ასევე შეუძლიათ პირველ პირში ლაპარაკი უშუალო მონაწილეებს, რომელთაც ან უნდა დაადასტურონ, ან უარყონ აღნიშნული საკითხები, მათ შორის ჩვენმა პარტნიორებმა.

– წაიკითხავდით ამერიკის საელჩოს ძალიან მძაფრ განცხადებას, სადაც ფერადი მარკერით არის მონიშნული საკითხები. ეს ხომ არ არის დასავლეთისთვის გარკვეული წითელი ხაზი? ასე ხომ არ აღიქვით თქვენ?

– პირადად ჩემი მოსაზრებაა, რომ თუ ვინმეს რჩება კითხვის ნიშნები ამ საკითხებთან დაკავშირებით, მათ ჩვენი ლოგიკა და სიმართლე სათანადოდ უნდა ავუხსნათ. თუ არსებობს ისეთი საკითხები, რომლებიც მოლაპარაკებული იყო დახურულ კარს მიღმა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, მათი ნაწილი, რომელიც განვახორციელეთ და რაც საჭიროებს დამატებით განმარტებებს, აუცილებლად უნდა განვუმარტოთ. ასევე ჩემი პოზიციაა, რომ სასამართლო ერთ-ერთი საკვანძო საკითხია სასამართლოს არსებობის თვალსაზრისით, ამიტომ მისი რეფორმირება, თუნდაც ეტაპობრივი რეფორმები წარმოადგენს ჩვენს პრიორიტეტს. ამიტომ მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აღნიშნული სისტემა გაჯანსაღდეს.

– ახლა რაც ხდება, უწყობს ხელს გაჯანსაღებას? რა სასწრაფო იყო, ამ მოწვევის პარლამენტს გაემწესებინა უზენაესში მოსამართლეები, მაშინ როდესაც შეიძლებოდა მორატორიუმი?

– იმის პარალელურად, რომ სისტემა უნდა გაჯანსაღდეს, ჩვენ ნამდვილად ვერ შევუშლით ხელს სისტემის ფუნქციონირებას. მე ვიყავი მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრი, სადაც სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით შემდგარი კონსენსუსი იყო, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დაკომპლექტება არ უნდა მომხდარიყო წინა მოწვევის პარლამენტში და ის მეათე მოწვევის პარლამენტს უნდა დაეკომპლექტებინა. ჩვენ ესეც სრულად გავითვალისწინეთ. თუ კიდევ არსებობს კითხვის ნიშნები, ეს, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია. ჩვენი მხრიდან კიდევ უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი ინფორმირების ჭრილში. ნამდვილად ვერ იქნება ისე, რომ არგუმენტების მიუხედავად, ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები იმსახურებდეს გარკვეულ კრიტიკას. ვფიქრობ, არგუმენტების პარალელურად უნდა ხდებოდეს ჩვენი საქმიანობისა და წინ გადადგმული ნაბიჯების სწორი შეფასება და არა გარკვეული მიკერძოება.

– აპირებთ, რომ ეს არასამთავრობო სექტორსაც აუხსნათ, რომელიც მწვავედ გაკრიტიკებთ და ხომ არ იგეგმება შეხვედრა მასთან აზრების გაცვლასთან დაკავშირებით?

– არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილი ხშირ შემთხვევაში მიკერძოებულია. ერთი მხრივ, შემიძლია გავიგო მათი მოტივაცია, რომ სურთ მაქსიმუმის მიღწევა, მაგრამ, შესაძლოა, ეს მაქსიმუმი არ შეესაბამებოდეს არსებულ რეალობასა და მოცემულობას. ის ცვლილებები, რომლებიც განვახორციელეთ, აუცილებელი და ერთადერთი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ სისტემა გაჯანსაღდეს. რა თქმა უნდა, მომხრე ვარ, რომ იყოს მაქსიმალური დიალოგი, დისკუსია და ინფორმაციის გაცვლა, თუმცა ამის პარალელურად აუცილებლად საჭიროებას ვხედავთ, რომ არასამთავრობო სექტორი იქნება თუ სხვა დაინტერესებული მხარე, ის ეფუძნებოდეს კონკრეტულ არგუმენტებს და თავიანთ პოზიციაზე არ იყვნენ უცვლელად, იმისდა მიუხედავად, რამდენად დასაბუთებული არგუმენტები იქნება ჩვენი მხრიდან.

– გულწრფელად მიპასუხეთ, თქვენ არ თვლით, რომ ისევე, როგორც წინა ხელისუფლების პირობებში, ახლაც სასამართლო შერწყმულია პოლიტიკურ ხელისუფლებასთან?

– შედარებასაც კი ვერ გავაკეთებდი. ის ადამიანი, რომელიც აიგივებს წინა ხელისუფლების დროინდელ სასამართლოს და ახლანდელ სასამართლოს, ძალიან მკვეთრად გამოხატულად მიკერძოებულია. თუმცა მე ვთვლი, რომ სისტემას სჭირდება კიდევ უფრო მეტად გაჯანსაღება, ახალი სისხლის გადასხმა, ახალი პერსონების შემატება და ამიტომ წინ ბევრი ნაბიჯია გადადგმული.

– სასამართლოსთან დაკავშირებით ოპონენტებისგან გაისმა ასეთი ბრალდებებიც, რომ არჩევნების კონტექსტია აქ და არჩევნებისთვის სჭირდება სასამართლო „ოცნებას“. არგუმენტი აქვთ ის, რაც მოხდა წინა არჩევნების დროს, როდესაც საჩივრები არ მიიღო სასამართლომ წარმოებაში და ა.შ. რა პასუხი გაქვთ?

– თუ წინა არჩევნებზე სასამართლოს მოქმედება ვინმეს მხრიდან აღქმული იყო იმგვარად, რომ ეს იყო ჰარმონიაში სახელმწიფოსთან, ეს არის მათი პირადი ინტერესებიდან გამოთქმული მოსაზრებები, იმიტომ, რომ ის არჩევნები საერთაშორისო საზოგადოებისა თუ ჩვენი მოქალაქეების მხრიდან შეფასებული იყო, როგორც სამართლიანი და კონკურენტული. ამიტომ ეს მოსაზრებები ჩემთვის ვერ იქნება დასაბუთება.

– თუმცა იყო ხარვეზიანი. ესეც წერია დასკვნებში.

– რა თქმა უნდა და ჩვენ არ უარვყოფთ, რომ რაღაც კონკრეტული და ამოგლეჯილი ერთიანი ხარვეზები იყო. ეს არის იმ მძიმე მემკვიდრეობის გაგრძელება, რომელიც გვქონდა. როგორც არ უნდა მინდოდეს, რომ სწრაფი ტემპით გავიაროთ ეს დემოკრატიული გარდაქმნები, გარკვეული ადეკვატურობაა იმაში, რომ ყველაფერს ერთდროულად ვერ განვახორციელებთ. ამიტომ ვერ დავეთანხმები ვერც ჩვენს საჭიროებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს სასამართლოს კონტექსტში, რადგან დარწმუნებული ვარ ჩვენს სამართლიან და კანონიერ ქმედებებში. ვისაც აწყობდა დამონებული სასამართლო, ვიცით, ეს რომელი ხელისუფლებაც იყო. არსებობს რეიტინგები, შეფასებები, სტრასბურში წარდგენილი საჩივრები თუ სახელმწიფოს მხრიდან წაგებული დავები. ეს მკაფიოდ გამოხატავდა იმ კვანძისა და მახინჯი სისტემის არსებობას, რომელიც იყო. ახლა არანაირი მსგავსი არ არის და ეს არ დასტურდება არანაირი დასაბუთებით. არის მხოლოდ მოსაზრებები და გარკვეული ჯგუფის მიერ შექმნილი განწყობები.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია საზოგადოების განწყობები, იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთი მდგენელია იმისა, თუ როგორ შეაფასებს საზოგადოება შენს საქმიანობას. ამ განწყობების პარალელურად, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და ვმუშაობთ მათ გადარწმუნებაში კონკრეტული ციფრებითა და მონაცემებით, ასევე – ჩვენი დასაბუთებული არგუმენტებით.

– ახსენეთ საზოგადოება და როგორ აღიქვამს ხელისუფლების დამოკიდებულებას? ეგულისხმობ იმას, რომ კონკრეტული ინიციატივები ხშირად გახსენდებათ არჩევნების წინ. ახლაც ასე მოხდა, როდესაც ღარიბაშვილმა გააჟღერა რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის ინიციატივა იმაზე, რომ ახლადშექმნილ ოჯახებს, რომლებსაც შვილი გაუჩნდებათ, იპოთეკურ სესხს დაუსუბსიდირებს. რა პასუხი გაქვთ ამაზე?

– ამ ქვეყანაში არჩევნები თითქმის ყოველ წელს არის და, თუ ამ არჩევნებს მივაბამთ იმას, რომ ჩვენ არანაირი ინიციატივები არ უნდა განვახორციელოთ არჩევნებამდე 5-7 თვით ადრე, ეს ნიშნავს, რომ მთელი წლები შეიძლება გავიდეს ინიციატივების გარეშე.

– 7 თვეზე არ არის ლაპარაკი, დაახლოებით 2.5 თვეა დარჩენილი არჩევნებამდე.

– ალბათ უფრო მეტი. ამიტომ ამაში ვერ დაგეთანხმებით.

რაც შეეხება იმას, რომ სახელმწიფოსა და პოლიტიკურ ჯგუფს ჰქონდეს ხედვები სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების სხვადასხვა საკითხის დარეგულირებასთან დაკავშირებით, ეს პირდაპირ ჩვენი ფუნქცია და მოვალეობაა. ნამდვილად არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ ხდება.

დავით ჭიჭინაძე: „მთავრობის ათწლიანი გეგმა აბსურდიც აღარ არის“

– რაც მეტს გალანძღავს „ოცნება“ გახარიას, მით უფრო გაიზრდება მისი რეიტინგი. გახარიას კი ოპოზიციის ხმები ნამდვილად არ მიაქვს.

ამის შესახებ „ტრიბუნას“ ლიდერმა დავით ჭიჭინაძემ განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, „ქართული ოცნება“ „აიჭრა“ და „ვეღარ გაუგიათ, რომელ პერიოდს ებრძოლონ“.

– კვირიკაშვილის პერიოდს ებრძვიან, გახარიას პერიოდს ებრძვიან, თავის დროზე ღარიბაშვილიც კორუფციის გამო გაუშვეს... ერთადერთი, ბახტაძე არ აღელვებთ, დეკორაცია იყო და იმიტომ.

ისე, რაც მეტს გალანძღავს „ოცნება“ გახარიას, მით უფრო გაიზრდება მისი რეიტინგი. გახარიას კი ოპოზიციის ხმები ნამდვილად არ მიაქვს. ნაციონალებს რაც ეხება, გავიგეთ, რომ მათი ლანძღვა დღის წესრიგი გახდა, მაგრამ დღევანდელი „ოცნება“ თვითონაა ერთი დიდი ნაცმოძრაობა და ვისზე რას ამბობენ, განსაკუთრებით ეს პოლიტლილიპუტები?!

ეკონომიკა მაგათ არ იციან, მორალი მაგათ არ გაქვს, სინდისი არ გააჩნიათ და იმიტომაც ვეღარ დადიან მერე პოლიციის თანხლების გარეშე. ეს 10– წლიანი ეკონომიკური გეგმა ხომ საერთოდ აბსურდიც აღარ არის და მხოლოდ ციფრების ბრახაბრუხია.

კომუნისტებსაც კი გადაასწრეს. იმათ ხუთწლედები მაინც ჰქონდათ. აბა, მასწავლებლებს რომ ჰპირდებიან, ხელფასი 2030 წელს 1.700 ლარი გექნებაო, 10 წლის წინანდელი 800 ლარი და ახლანდელი შეადარა ვინმეს?! ან პენსიის 20-20 ლარით გაზრდას რომ აანონსებენ, მაშინ, როდესაც მარტო კომუნალურები 50%-ით გაიზარდა, ვის მოტყუებას ცდილობენ?

მაშინ ყოველ წელს უნდა იყოს არჩევნები, მთავრობამ რაღაცის სუბსიდირება მაინც რომ მოახდინოს, – აღნიშნავს დავით ჭიჭინაძე.

ლევან ვასაძე: „გასული 2 თვის განმავლობაში ჯანმრთელობა გამიუარესდა. მიმდინარეობს კომპლექსური კვლევა“

საზოგადოებრივი მოძრაობა „ერის“ ლიდერ ლევან ვასაძის ინფორმაციით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო 2 თვის განმავლობაში გაუარესდა.

როგორც ვასაძემ ვიდეომიმართვაში განაცხადა, მიმდინარეობს კომპლექსური კვლევა და გაუარესების გამომწვევი საბოლოო მიზეზი ცნობილი არ არის, თუმცა სურს, საზოგადოება დაამშვიდოს, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“.

„მოგმართავთ სტამბოლიდან, სადაც ახლა ვიმყოფები სამედიცინო გამოკვლევაზე. არ ვიცი, როგორ გაჟონა ამ ინფორმაციამ პრესაში. მინდა, ყველას შენდობა ვთხოვო. მოგეხსენებათ, ადამიანის ჯანმრთელობა ძალზედ ინტიმური საკითხია. უღრმესი მადლობა ყველას ასეთი მხარდაჭერისათვის. ვალდებული ვარ, რომ გავცე პასუხი იმ შეკითხვებს, რომლებსაც უამრავი ადამიანი მისვამს. გასული 2 თვის განმავლობაში გამიუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც გამოიხატა სხვადასხვა ორგანოს უკმარისობაში, ენერგიის ვარდნაში, კიდურების შეშუპებაში და ა.შ. ექიმებთან ვიარე თბილისშიც, მოსკოვშიც და ახლა სტამბოლში, რომ აქაც დავეკითხო აზრს. მიმდინარეობს კომპლექსური კვლევა. ჯერ საბოლოო პასუხი არ არის. მინდა, ყველა დავამშვიდო, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ნებისმიერ ასეთ დაავადებას მოვერევით და ნუ ინერვიულებთ“, – აღნიშნა ლევან ვასაძემ.

ლევან ვასაძე სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად სტამბოლის კლინიკაში რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა.

გურიის გუბერნატორი გიორგი სახოკია მოხსნეს

მისი ადგილი გიორგი ურუშაძემ დაიკავა

26 ივნისს გურიის გუბერნატორი გიორგი სახოკია თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მისი გადაყენების მიზეზი გიორგი გახარიასთან ახლო ურთიერთობა გახდა. სახოკია გუბერნატორად თებერვალში სწორედ მაშინდელმა პრემიერმა გახარიამ დანიშნა.

ადგილობრივ ოპოზიციაში აცხადებენ, რომ „ოცნებაში“ მოახლოებული არჩევნებისთვის ემზადებიან და ხელისუფლების ძირითადი იარაღი ადმინისტრაციული რესურსი იქნება.

ამავე დღეს გურიის ახალი გუბერნატორი 38 წლის გიორგი ურუშაძე გახდა. ის ბიზნესმენია, მამამისი კი მმართველი „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერია.

სოფლებს, რომლებსაც არჩევნებზე ოპოზიცია იგებს, ხელისუფლება სხვა ოლქებთან აერთიანებს

„ევროპული საქართველო“ „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურ თაღლითობაში ადანაშაულებს. პარტიის ლიდერ აკაკი ბობოხიძის თქმით, თვითმმართველობის არჩევნებზე პროპორციული სიის სასარგებლოდ მაჟორიტარების შემცირება ხდება, თუმცა ხელისუფლება ამ ფაქტსაც თავის სასარგებლოდ იყენებს.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის თქმით, ხელისუფლება სოფლებს არა მოსახლეობის რაოდენობით, არამედ პოლიტიკური სიმპათიით ამსხვილებს.

მისივე თქმით, ხელისუფლება სოფლებს, რომლებსაც არჩევნებზე ოპოზიცია იგებს, სხვა ოლქებთან აერთიანებს, რითაც ოპონენტებს მოგების შანსს ართმევს.

ბობოხიძე ოპოზიციას მოუწოდებს, არ დაუჭირონ მხარი კანონპროექტს და მოითხოვონ ისეთი ცვლილება, რომელიც თანაბარ პირობებში ჩააყენებს პარტიებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილის მიზანია, ივანიშვილის ოპოზიციად დარჩეს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნების“ ჩამოშლა მხოლოდ გახარიას შეუძლია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? კვირის ბოლოს პრემიერს მოუსმინა პარლამენტმა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მისმა დაპირებებმა და ინიციატივებმა ბევრი ადამიანი გააღიზიანა. რამდენად სწორი იყო თუნდაც პანდემიის დროს დაჯარიმებული ადამიანების გათავისუფლება? ვინც კანონმორჩილია და ვინც ეს ჯარიმები გადაიხადა, მას ხომ უსამართლობის განცდა გაუჩნდება. რადგან წინასაარჩევნო კამპანიაა, ამიტომ ყველაფერი მოსულა?

– სხვათა შორის, მეც დამაჯარიმეს და ვაპირებდი სასამართლომდე მისვლას. საქმე ისაა, რომ რუსთაველზე მოვდიოდი 12 საათზე, კომენდანტის საათის შემდეგ, მქონდა საშვი, ტელევიზიიდან ვბრუნდებოდი. პირბადე არ მეკეთა, თუმცა მოვდიოდი ჩემთვის მარტო, მთელ რუსთაველზე აბსოლუტურად მარტო მე ვიყავი. პატრულმა დამინახა, გამომიჭირა არიფი ერთი კაცი და დამაჯარიმა. მე ჩავთვალე, რომ უსამართლო იყო ეს, იმიტომ რომ არავითარ საფრთხეს არ წარმოვადგენდი არც სხვებისთვის და არც საკუთარი თავისთვის. მე ძალიან კანონმორჩილი ვარ და ყოველთვის ვატარებდი პირბადეს. იცით, რის თქმა მინდა? არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, იმავე რაოდენობის სტატისტიკაა. იმავე რაოდენობის ხალხი ინფიცირდება და იმავე რაოდენობის ხალხი კვდება. რა შეიცვალა? რატომ მოხსნეს პირბადეები? რატომ გაამარტივეს რეგულაციები? ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. სადაა ლოგიკა? რატომ დამაჯარიმეს თუნდაც მე, დღემდე ვერ ვხვდები. იგივე სიტუაციაა, თუ ახლა შეიძლება პირბადის მოხსნა?!

– იცით, როგორი ფორმულირება მისცეს? გახარიამ დაგაჯარიმათ და ღარიბაშვილმა მოგიხსნათ ეს ჯარიმებიო.

– ეს არის კატასტროფა. ღმერთმა დაგვიფაროს, თუ ეს მართლა ასეა. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო საერთოდ არ არსებობს, სრულიად მოშლილია სახელმწიფო ინსტიტუტები და, ვისაც როგორ უნდა, ისე მართავს, ანუ ფეოდალური მმართველობაა და არა სახელმწიფო მმართველობა. ეს კატასტროფაა! რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრის გამოსვლა იყო წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი. პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. აქ ტრაგედია არის ის, რომ ეს საზოგადოებაში მუშაობს. ვიდრე საზოგადოება არ გახდება იმ დონის სიმწიფისა და სამოქალაქო აზროვნების, რომ მათ თქვან, ასეთი მიდგომები ჩვენთვის მიუღებელია, რომ სამარცხვინოა ამის გაკეთება, მანამდე ამ ტიპის ხელისუფალი ყოველთვის გააკეთებს ამას. ამას აკეთებდა სააკაშვილიც, მაინცდამაინც არჩევნების წინ რომ აგებდნენ ორ მეტრ ასფალტს. აბა ნახონ, რომ არ მუშაობს ეს ყველაფერი საზოგადოებაზე, თუ გააკეთებენ!

– ანუ მუშაობს?

– რა თქმა უნდა. ამიტომაც აკეთებენ, რომ მუშაობს და გააგრძელებენ მანამ, ვიდრე საზოგადოება უპასუხებს საკუთარი ხმებით.

– დაწყებულია წინასაარჩევნო კამპანია. კახი კალაძეც სერიოზულ კამპანიას ეწევა, თუმცა ჯერ ოფიციალურად არავის დაუსახელებია და წარუდგენია მისი კანდიდატურა. რატომ, რას ელოდებიან?

– დავიწყოთ იმით, რომ კალაძე წარმატებული მერია და ის პოლიტიკაში სრულებით არ გადადის, სულ ლაპარაკობს სკვერებზე, გზებსა და ტრანსპორტზე. მაქსიმალურად ცდილობს, თავი აარიდოს პოლიტიკურ ბატალიებს, არ გავიდეს მერის კონცეფციიდან, თუმცა ის, ამავდროულად, არის პარტიის გენერალური მდივანი. ამის მიუხედავად, ცდილობს, პოლიტიკაში არ ჩაერიოს. ხომ ვნახეთ, შეეცადა, რომ გახარიაზეც კი მაქსიმალურად ზომიერი შეფასებები გააკეთა.

– რა სტრატეგიაა ეს?

– ის ფიქრობს მომავალზე. ფიქრობს, რომ არ შეიძლება ჩამოეკიდოს კობახიძის გუნდს და საკმაოდ გვერდზეა გასული პოლიტიკიდან. მთელი მისი წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც აშკარად მიდის და მთელი მისი აქტიურობა გადასულია მერისა და მეურნის აქტიურობაზე. მას გენერალური მდივნობა სჭირდება იმისთვის, რომ შიგნით გააკონტროლოს „ქართული ოცნება“, თორემ ამწუთში პოლიტიკა არაფერში სჭირდება. არის პოლიტიკაში, თუმცა არ იყენებს ამ ინსტრუმენტს თავის წარმოსაჩენად. მას ამისთვის ისეთი გაცილებით დიდი ინსტრუმენტი აქვს, როგორიც არის მერობა.

– ჯერ არ დაასახელებს „ოცნება“ მის კანდიდატურას?

– მაქსიმალურად გვიან. სადღაც აგვისტოს ბოლომდე არც უნდა ველოდეთ. აშკარად კალაძეს დაასახელებენ, რადგან, თუ კალაძე არ იქნება კანდიდატი, მაშინ მთლიანად ჩამოიქცევა „ქართული ოცნების“ რეიტინგი. მათთვის 43% საერთოდ საოცნებო იქნება. დღეს კალაძე მათ სჭირდებათ, როგორც ერთადერთი გადამრჩენი. ივანიშვილი რომ დაბრუნდეს, მან რომ იყაროს კენჭი, ის ვერ გადაარჩენს „ქართულ ოცნებას“, კალაძე კი გადაარჩენს. კალაძე გაცილებით პოპულარულია.

– რას იტყვით ოპოზიციაზე? დღეს მათი რეიტინგი ძალიან ცუდ დღეშია, ამ ფონზე არ გაუჭირდება „ოცნებას“ გამარჯვებაო. ასეა?

– არა, გამარჯვება არც ისე იოლი იქნება. ნუ დაგვავიწყდება გახარიას ფაქტორი. მე ნამდვილად არ ვთვლი ჩემს თავს გახარიას ამომრჩეველად, მაგრამ დღეს თუ ვინმეს უნდა ვადამდელი არჩევნები, მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ, სულ ცოტა, არ დაარტყან გახარიას.

– „ოცნებასთან“ ერთად, ოპოზიციაც აქტიურად ურტყამს.

– ჰოდა არასწორია ეს დამოკიდებულება. ეს უგუნური ქცევაა ოპოზიციის მხრიდან. რა არის მათი მთავარი ამოცანა, ჯერ ეს უნდა გაარკვიონ. თუ მათი მთავარი ამოცანაა ვადამდელი არჩევნები და „ქართული ოცნების“ ჩამოშლა, მაშინ ამის გაკეთება სწორედ გახარიას შეუძლია. თუ ვინმე წაართმევს ხმებს „ქართულ ოცნებას“, პირველ რიგში ეს არის გახარია. ამიტომ მე არ მესმის ოპოზიციის ქცევების, საერთოდ რა მიზანი აქვთ და რა უნდათ.

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ ოცნებას“ ბიძინა ივანიშვილიც ვეღარ უშველის“

– ოპოზიციის ქცევებზე საუბრობთ და პარლამენტში შესულმა ოპოზიციამ, ნაციონალური მოძრაობის გარდა, ყველამ ხელი მოაწერა იმ დოკუმენტს, რომ გარეთ დარჩენილ ოპოზიციას, იმავე ლეიბორისტულ პარტიას შეუწყდეს სახელმწიფო დაფინანსება და არ ჰყავდეს საკუთარი წარმომადგენელი ცესკოში. რამდენად სწორი და მორალური ნაბიჯია მათი მხრიდან, ვის თამაშს თამაშობენ, „ოცნების“?

– რა თქმა უნდა, მათ მეტად უნდა ებრძოლათ და ეს არასწორი ნაბიჯია მათი მხრიდან. ოპოზიციის ქცევა ჩემთვის გასაგებია. ისინი ხედავენ, რომ მხოლოდ პარლამენტში კეთდება საქმე. გარეთ რომ დარჩენილიყვნენ, ისიც არ იქნებოდა, რასაც შესვლით მიაღწიეს. მათი გარეთ დარჩენით ლეიბორისტული პარტია მაინც ვერ მიიღებდა დაფინანსებას. მათი გათვლა ასეთია – პარლამენტში შევედით იმისთვის, რომ რისი გადარჩენაც შეიძლება, ის მაინც გადავარჩინოთ, ხოლო რის გადარჩენაც შეუძლებელია, იმას მაინც ვერ გადავარჩენდით, გარეთ რომ ვყოფილიყავითო. მათთან ეს ლოგიკა მუშაობს. თუმცა მათ მეტად უნდა ებრძოლათ და მეტად პრინციპულები უნდა ყოფილიყვნენ, თუნდაც დაფინანსების მიმართულებით. პარლამენტში შესვლა-არშესვლა არ უნდა წყვეტდეს დაფინანსების საკითხს. ხალხის ნდობა ვინც მოიპოვა, ის უნდა დაფინანსდეს. შესაძლოა, მათ პარლამენტში შესასვლელად არ ჰყოფნით ეს პროცენტები, მაგრამ მოსახლეობის 3%-მა თუ მომცა ხმა, რატომ არ სცემ პატივს ამ ხალხის ნებას?!

– ერთგვარი სადამსჯელო ღონისძიებაა?

– დიახ, სადამსჯელო ღონისძიებაა. მხოლოდ პარლამენტში მუშაობა არ არის პარტიის მთავარი საქმიანობა. უამრავი სხვა საქმე აქვთ, მათ შორის პარლამენტში ყოფნა, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი. პარტიას, რომელიც პარლამენტში არ მოხვდა, უსპობენ არსებობის საშუალებას. აი, ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენთან დემოკრატია არ არის.

– გახარია ახსენეთ და რას ფიქრობთ მის დასავლურ ტურნეზე? ამბობდნენ, რომ მას საკმაოდ სერიოზული შეხვედრები ჰქონდა როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში, თუმცა სააკაშვილის ფაქტორმა ამ ყველაფერს სერიოზული ჩრდილი მიაყენა. რას იტყვით, გახარია-სააკაშვილის შეხვედრაზე, რატომ მივიდა იმავე სასტუმროში, სადაც ნაციონალები იმყოფებოდნენ?

– სიმართლე გითხრათ, ყველაზე მარტივად ეს საკითხი მეჩვენება. გულწრფელად გეტყვით, სახელმწიფო მოხელე რომ ვიყავი, საგარეო პოლიტიკის პროტოკოლი ისეა აგებული, რომ ქართველი ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები და დიპლომატები ერთსა და იმავე სასტუმროში ჩერდებიან. მე როდესაც მივდიოდი, ვაშინგტონი იყო ეს თუ ბრიუსელი, პირადად მე ყოველთვის ერთსა და იმავე სასტუმროში მიჯავშნიდა ადგილს ჩვენი პროტოკოლი. იმაში, რომ ერთსა და იმავე სასტუმროში აღმოჩნდა ორი ყოფილი ჩინოვნიკი, გასაოცარს ვერაფერს ვხედავ. მე აღარ ვარ ჩინოვნიკი, მაგრამ, თუ ევროპაში მიწევს წასვლა, მირჩევნია, ნაცნობ სასტუმროში გავჩერდე, ვიდრე უცნობში. ამაში ვერანაირ ტრაგედიას ვერ ვხედავ. ჩემთვის ამ ყველაფერში ის უფრო მნიშვნელოვანია, როგორ მოხვდა სააკაშვილი იქ იმ დროს.

– როგორ მოხვდა?

– სააკაშვილისგან ყველაფერს ველოდები. ის ყველაფერზეა წამსვლელი. სააკაშვილი ოღონდ დარჩეს ივანიშვილის საყვარელ ოპოზიციად, ყველაფერს გააკეთებს, რათა გაუფუჭოს სახელი თუნდაც იმავე გახარიას.

– ანუ იმის თქმა გინდათ, რომ სააკაშვილი იქ მიზანმიმართულად ჩავიდა?

– სააკაშვილისგან ასსეთები მოსულა, პირადად მეც გამიგია, ბევრჯერ გაუკეთებია და ამიტომ გამორიცხული არ არის. დარწმუნებული ვარ, გახარია სააკაშვილს მართლა არ შეხვედრია. ეს „ქართულმა ოცნებამაც“ კარგად იცის, თუმცა ვნახეთ, ამაზე რამხელა ისტერიკა ასწია. აი, ეს არის ყველაზე კარგი ლუსტრაცია, თუ რა პანიკაშია დღეს „ქართული ოცნება“ გახარიას გამო. სადღაც სააკაშვილის ჩრდილმა ჩაიარა და უნდათ, რომ მიაწებონ ეს იარლიყი, რომ, არიქა, შეხვდნენ. ეს არის ფანტასტიკური მაგალითი ისტერიკისა და პანიკისა, რომელიც სუფევს დღეს „ქართულ ოცნებაში“. რაში სჭირდება დღეს გახარიას სააკაშვილთან შეხვედრის გამქღალვნება?!

– შეეძლო, კონსპირაციულად შეხვედრიდა და არა ასეთ ცნობილ სასტუმროში?

– რასაკვირველია. სააკაშვილის გვერდით გავლაც კი მას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. ეს გახარიამაც მშვენივრად იცის. ამიტომ ეს ყველაფერი არის აბსურდული და „ქართული ოცნების“ ისტერიული ფანტაზიის ნაყოფი. ეს კიდევ მეტად გიბიძგებს იქითკენ, რომ თქვა, ჯობია, დღეს ხმა მივცეთ გახარიასო. გახარიამ 8%-ც რომ აიღოს, ძალიან კარგია. მართალია, ის ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დააზარალოს „ოცნება“. დასავლეთის მხრიდანაც სერიოზულია ინტერესია. როგორც წესი, ახალგამომცხვარ პარტიას დასავლეთში ასე არ ხვდებიან. ვფიქრობ, საკმაოდ სერიოზულად უყურებენ გახარიას. მე არ მომწონს გახარიას პარტია. იქ არ არიან პოლიტიკოსები. იმედია, ამას გამოასწორებს. დღეს საზოგადოებაში არის მოლოდინი მესამე ძალისა და ამ ილუზიას გახარია ქმნის. მისი რეიტინგიც ამას ამბობს. ოპოზიციამ კარგად უნდა გათვალოს, რა უნდა. თუ მას უნდა ივანიშვილის ჩამოშლა, მაშინ არ უნდა დაარტყან გახარიას. „ოცნების“ ჩამოშლა დღეს მხოლოდ გახარიას შეუძლია.

გახარიას პარტიას ბათუმის ოფისიდან აგდებენ

გიორგი გახარიას პარტიას – „საქართველოსთვის“ ბათუმში ნაქირავებ ოფისს ატოვებინებენ.

აჭარაში პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი მიქელაძის განცხადებით, ოფისის მეპატრონე ეუბნებოდა, რომ მათი პარტიის მხარდამჭერი იყო, თუმცა მოულოდნელად პოზიცია შეცვალა. მიქელაძის განცხადებით, მმართველი პარტია ახლა ისე იქცევა, როგორც ნაციონალური მოძრაობა 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ ექცეოდა.

– სახელისუფლებო პარტია იქცევა ზუსტად ისე, როგორც ექცეოდა ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ 2012 წელს. ვისგანაც ოფისი ვიქირავეთ, მან დღეს გააკეთა განცხადება. ამ ადამიანთან გუშინაც კი გვქონდა კომუნიკაცია და ის ღიად აფიქსირებდა მხარდაჭერას ჩვენი გუნდისადმი. მხოლოდ დღეს შეიცვალა მისი პოზიცია. მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომელიც მედიის საშუალებით რამდენიმე დღის წინ გავრცელდა, რაც სისულელეა. მთელი რეგიონის მასშტაბით ვაპირებთ ოფისის გახსნას. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გვიფიქსირებენ, რომ მიუხედავად მათი სურვილისა, ოფისი მოგვაქირაონ, ვერ ახერხებენ დაშინებისა და შანტაჟის გამო, რომელიც მათ მიმართ ხორციელდება.

ჩვენ ამ ადამიანის გვესმის და თანავუგრძნობთ. ჩვენ გავითვალისწინებთ მის რთულ მდგომარეობას და ოფისს დავტოვებთ. თუმცა ეს არ გახდება დამაბრკოლებელი, ეს ვერ გახდება მიზეზი, რომ მუშაობა შევაჩეროთ. თუ ყველა ადამიანს დააშინებენ რეგიონში, რომ არ მოგვაქირაონ ოფისი, საკუთარ სახლებში გავხსნით ოფისს, – განაცხადა ირაკლი მიქელაძემ.

კომენტარი გააკეთა ოფისის მეპატრონემაც და აღნიშნა, რომ პარტიას მისი კუთვნილი ფართის დატოვებას პოლიტიკური სურათის ცვლილების გამო სთხოვს.

ღარიბაშვილი: „1.000 სამხედრო დრონის წარმოებას ვაპირებთ“

პრემიერმა ღარიბაშვილმა 25 ივნისს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა:

– გაისად გვექნება ადგილზე წარმოებული დრონი, სამხედრო დრონები. ჯამში ვაპირებთ 1.000 დრონის წარმოებას მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ასევე ჩვენ ვმუშაობთ ავტომატების წარმოებაზე და უფრო სერიოზული შეიარაღების შესყიდვაზე, მათ შორის ისრაელიდან. გასულ წელს კომპანია „რაფაელთან“ დავდეთ ხელშეკრულება, რომელიც წლის ბოლომდე საჰაერო თავდაცვის სისტემების სრულ განახლებასა და თანამედროვე ტიპის რაკეტების შემოტანას უზრუნველყოფს.

თბილისში მამა საკუთარ გოგონაზე 4 წელი ძალადობდა

ტვ პირველისთვის ცნობილი გახდა, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში პედოფილიის მსხვერპლი 5 ბავშვი გახდა. ამ ფაქტების შესახებ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა.

პედოფილიის ერთ-ერთი მსხვერპლი 11 წლის ბავშვია, რომელზეც საკუთარი მამა წლების განმავლობაში ძალადობდა. შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ორგანიზაციას სკოლამ მიაწოდა.

2021 წლის პირველ 4 თვეში ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით გაუპატიურების 41 შემთხვევა მოხდა, თუმცა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, რომ შემთხვევათა რიცხვი გაცილებით მეტია.

„არ გვინდა სტადიონი, გვინდა პარკი“

აქცია დიდ დიღომში

გუშინ, 27 ივნისს, დიდი დიღმის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა.

მეორე მიკრორაიონში მცხოვრები მოქალაქეები სკოლა „ფესვების“ მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცის შექმნას მოითხოვენ და ადგილზე დაგეგმილ დახურული სტადიონის მშენებლობას აპროტესტებენ.

როგორც საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებენ, მათ აღნიშნული მოთხოვნით თბილისის მერიასაც მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. ისინი პროტესტის გაგრძელებას მანამდე აპირებენ, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

– ვითხოვთ ამ ზონის დაცვასა და გადარჩენას, კეთილმოწყობას. 2018 წელს „შენი იდეა მერს“ შევიტანეთ განცხადებები, ფაქტობრივად, ფინალშიც გავედით ამ იდეის მოთხოვნით, რომ აქ პარკი ყოფილიყო, მაგრამ საკითხი განუხილველი დარჩა. სამაგიეროდ, მოიფიქრეს, რომ კორპუსების შუაგულში დახურული სტადიონი აგვიშენონ.

ახლოს სხვა რეკრეაციული სივრცე არ არის, აქ, როდესაც ადგილმონაცვლეობა არ არის საჭირო და ამის საშუალება გვაქვს, ფაქტობრივად ახლა გვართმევენ. ჩვენ ვითხოვთ ადგილმონაცვლეობას, რომ ამ პროექტს ადგილი შეუცვალონ, – განაცხადა დიდი დიღმის საინიციატივო ჯგუფის წევრმა ელენე მეჩიტოვამ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„სააკაშვილს მეწყვილედ გახარია არ სჭირდება“

სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია არჩევნებისთვის, პრაქტიკულად, არ ემზადება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, სააკაშვილისა და გახარიას ტანდემი რამდენად რეალურია თუნდაც პოსტსაარჩევნო პერიოდში?

– შეიძლება, ვიღაცისთვის მიმზიდველად გამოიყურებოდეს ასეთი ტანდემი, მაგრამ ეს გამორიცხულია. ამ შემთხვევაში გახარია ვერ შეასრულებს იმ როლს, რომელიც თეორიულად და პრაქტიკულადაც, თუ ჭკუით მოიქცევა ოპოზიცია, მოვლენათა ერთობლიობამ მოიტანა. მე აქ არჩევნებში გახარიას როლს ვგულისხმობ. მას შეუძლია, როგორც ეს ამ ბოლო კვლევებმა უჩვენა, „ქართულ ოცნებას“ ტორტის დიდი ნაჭერი ჩამოაჭრას. თუ ასე მოხდება, ეს ნიშნავს, რომ „ოცნება“ დაუახლოვდება 43%-იან ბარიერს.

მეორე, სააკაშვილს სულაც არ სჭირდება მეწყვილე. სააკაშვილი უაღრესად პერსონიფიცირებული პოლიტიკოსია. მან უკვე განვლო ის ეტაპი, როდესაც პოლიტიკოსი ავლენს ან არ ავლენს ლიდერის თვისებებს. მან უკვე გამოავლინა ეს თვისებები. დანარჩენი უკვე ისტორიის შესაფასებელია.

– რას იტყვით ოპოზიციაზე, რამდენად ემზადება არჩევნებისთვის?

– აშკარაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაიწყო საარჩევნო სამზადისი. ეს უკვე წვრილმანებშიც ჩანს. ყოველ შემთხვევაში, დაკვირვებული და გამოცდილი თვალი ამას შეამჩნევს. რაც შეეხება ოპოზიციას, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, ოპოზიცია რას აკეთებს და რა მიზანი აქვს.

უკვე ჩანს „ოცნების“ გეგმა, ტაქტიკა, რასაც ვერ ვიტყვი ოპოზიციის სტრატეგიატაქტიკაზე.

– რაში ჩანს „ოცნების“ სამზადისი?

– თუნდაც პანდემიის გამო დაწესებული დარღვევების ჯარიმების ჩამოწერა-გაუქმებაში. მეორე, რას შეიძლება ემსახურებოდეს არჩევნების თარიღის გადმოწევა? მაგრამ არჩევნების თარიღი საქართველოში კონსტიტუციით არის განსაზღვრული. არჩევნები ჩვენთან ოქტომბრის ბოლო კვირას ტარდება. თუ „ოცნებას“ უნდა, გადმოსწიოს არჩევნების თარიღი, მაშინ საკონსტიტუციო ცვლილებები მოუწევს. საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არ ჰყავს. რა პოზიცია ექნება ოპოზიციას პარლამენტში? დაუჭერს მხარს ამ ცვლილებებს? ეს ძალიან ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

– თუნდაც იმას, რომ ოპოზიცია სუსტია, მზად არ არის ამ არჩევნებისთვის და მის ინტერესებში არ არის რიგგარეშე არჩევნები?

– თუნდაც. ბევრი კითხვა დაგროვდა ოპოზიციის მისამართით. ოპოზიცია არჩევნებისთვის, პრაქტიკულად, არ ემზადება.

– ერთიანობაზე, საერთო კანდიდატზე საუბარი, როგორც ჩანს, ამ არჩევნებზე აღარ იქნება?

– არა, არა. ერთიანობის ყველაზე დიდი შანსი გასულ საპარლამენტო არჩევნებზე იყო და მაშინაც არ გამოვიდა სრულყოფილი ერთობა, საერთო კანდიდატებზე შეთანხმება. ახლა უკვე ამის შანსი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. გამორიცხულია. ოპოზიციის ერთადერთი შანსი გახარიას შედეგია, მაგრამ გახარიას ყველა მხრიდან ბწკენა-ბწკენით ახრჩობენ. ოპოზიცია ვერ აცნობიერებს, რომ გახარიას შანსი მისი შანსია. ამის გამოყენებას უნდა ცდილობდეს და არა მის დაკარგვას, თან ახლა უნდა ჰქონდეთ გახურებული სწორად დაგეგმილი წინასაარჩევნო კამპანია და ჩვენ რას ვხედავთ, ერთმანეთის ლანძღვა-გინებით არიან დაკავებული. ასეთი არასწორი აქცენტები არასდროს ყოფილა. არ ვიცი, რას დავაბრალო. ამ გადმოსახედიდან ოპოზიციის შანსები ძალიან პესიმისტურად გამოიყურება.

– ბოლო სოციოლოგიურმა კვლევებმა რა გვიჩვენა?

– ამ კვლევებმა ტენდენცია გამოკვეთა. ამ ტენდენციის უარყოფა კი არავის შეუძლია. ეს არის ის განწყობა, რომელიც არის საზოგადოებაში, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, საზოგადოების ნაწილი, რომელიც აცრას იმიტომ არ იკეთებს, ბილ გეიტსმა ჩიპით უნდა მაკონტროლოსო, არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ან იმ გამოკითხვის დროს ბოლომდე გულწრფელია. არადა, სოციოლოგია რესპონდენტის გულწრფელობაზეა დაფუძნებული. წინაალმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, აზრს კარგავს. ამიტომაც გვაქვს აცდენა სოციოლოგიურ კვლევებსა და არჩევნების შედეგებს შორის. მეორეც, თუ კვლევა სწორია, სწორად არის ჩატარებული და არჩევნებში სხვა შედეგი იდება, გამოდის, არჩევნები ყალბდება. ამიტომაც არ არის ასე მარტივად საქმე.

სამართალი

ავარია დიღომი-გლდანის გზაზე

1 ადამიანი დაიღუპა

26 ივნისს, საღამოს, ავარია მოხდა დიღომი-გლდანის გზაზე.

არის მსხვერპლი. დაღუპულია 1 მგზავრი, დაშავებულია 1.

გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

ვარშავაში დიტო ხელხელაურის ცხედარი იპოვეს

ერთკვირიანი ძებნის შემდეგ ვარშავაში გაუჩინარებული ქართველი ახალგაზრდა გარდაცვლილი იპოვეს. 24 წლის დიტო ხელხელაურის ცხედარს მყვინთავებმა ტბაში მიაკვლიეს.

დიტო ხელხელაური რამდენიმე წელია პოლონეთში სამუშაოდ იმყოფებოდა. პოლონეთის სამართალდამცველები ახალგაზრდას 12 ივნისიდან ეძებდნენ. რის შემდეგაც, ერთ-ერთი თვითმხილველის ჩვენების საფუძველზე სამძებრო ღონისძიებაში მყვინთავები ჩაერთნენ.

24 წლის დიტო ხელხელაური წარმოშობით თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლიდან არის.

საბერძნეთის ციხეში ქართველმა პატიმარმა მეორე ქართველი პატიმარი მოკლა



43 წლის ქართველმა დავით მურჯიკნელმა, რომელიც საბერძნეთის ციხეში სასჯელს იხდის, სხვა, ასევე ქართველი პატიმარი ცივი იარაღით მოკლა.

მკვლელობა საგამოძიებო იზოლატორში ორ ქართველ პატიმარს შორის დაწყებულ დაპირისპირებას მოჰყვა.

დავით მურჯიკნელმა რამდენიმე წლის წინ საბერძნეთის ცნობილი მსახიობი ნიკოს სერგიანოპულოსი ასევე დანით მოკლა, რომელსაც ცივი იარაღით 21 ჭრილობა მიაყენა. აღნიშნული მკვლელობა 2008 წელს მოხდა. 13 წლის წინ ჩადენილი მკვლელობისთვის დავით მურჯიკნელს სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

ექიმები იზოლატორში დაჭრილისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობდნენ, როდესაც მას გულის შეტევა განუვითარდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სისხლიანი გარჩევის მიზეზები ამ ეტაპზე უცნობია.

„მელიასა და გახარიას გასუპერმენება რუსეთის მოფიქრებულია“

მირიან მირიანაშვილი: „მომავალ წელს ვადამდელი არჩევნები 43%-ის გარეშეც გარდაუვალია“

მარიამ მჭედლიშვილი

რას ნიშნავს სენატის საგარეო კომიტეტში მიღებული რეზოლუცია და მემორანდუმის შესრულების აუცილებლობა? რატომ არ არის ე.წ. მიშელის დოკუმენტი სინამდვილეში ევროპული და რატომ არის ამერიკული? სად იკვეთება რუსეთის პოლიტტექნოლოგიების გაგრძელება? რატომ ითვლება ბოლო დროს აშშ-ში ჩასული ქართველი პოლიტიკოსების მივლინებები კერძო ვოიაჟებად? ვინ დააბეზღეს ღარიბაშვილის გარდა ვაშინგტონში ჩასულმა პოლიტიკოსებმა? რატომ არის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალი? რა კონფიგურაცია ყალიბდება მომავალ წელს? რისთვის ჩავიდა ვაშინგტონში სააკაშვილი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილს.

– აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია საქართველოს თაობაზე. მასში საუბარია მიშელის დოკუმენტის შესრულების აუცილებლობაზე. რეზოლუცია მოუწოდებს პარტიებსა და პოლიტიკოსებს, შეასრულონ აღებული ვალდებულებები. არსებობს პრეტენზია ხელისუფლებისადმი იმის შესახებ, რომ ირღვევა შეთანხმება მოსამართლეების შერჩევის პუნქტში. მემორანდუმზე ყველა პარტიას არ მოუწერია ხელი, მაგალითად, ნაცმოძრაობას. რას ნიშნავს ეს?

– ამ მემორანდუმის შესრულება სერიოზული თემაა. ჩვენი საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა ერთი საკითხი – ამერიკული მხარის მონაწილეობა. მემორანდუმს დაარქვეს „მიშელის დოკუმენტი“. შარლ მიშელი პროცესში აქტიურად მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, ეს არ არის მიშელისა და ევროკავშირის მემორანდუმი. რეალურად, ეს არის აშშ-ის მომავალი პოლიტიკური მანიფესტი. მიშელის სახელი მას ნომინალურად ჰქვია. ევროკავშირი კავკასიის რეგიონის პროცესებში აქტიურად ჩართული არ ყოფილა, არ არის და არც იქნება.

– საქართველოში პოლიტიკური მემორანდუმი ამერიკის ინიციატივით გაფორმდა?

– რასაკვირველია. ვაშინგტონისვე გადაწყვეტილებით, პროცესში ჩააბეს ევროკავშირი. ბაიდენის ადმინისტრაციის კონცეფცია გულისხმობს ევროპასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას. საქართველო ითვლება ევროპის ნაწილად. ამის გამო ვაშინგტონმა საქართველოში მიმდინარე მოვლენებში ჩართო ევროკავშირი და შარლ მიშელი. ჩვენი საზოგადოების, მათ შორის პოლიტიკოსების უმრავლესობა ამაში ვერ გაერკვა. ამის გამო მივიღეთ ორი უცნაურობა – დეკლარაციის დაკავშირება მარტო მიშელის სახელთან და მისი სახელობის ფრაქცია პარლამენტში.

– მიშელის რეფორმების ჯგუფის სახელწოდების კომიკურობას საზოგადოება აცნობიერებს.

– კომუნისტების დროს ერთი პარტია, ერთი იდეოლოგია იყო. ადამიანებს არქმევდნენ იდეოლოგიზებულ სახელებს (ლენსტაბერი, ისკრა, ენგელსი და სხვა). კომუნისტების ეპოქაშიც კი კომიკური იქნებოდა მარქსის ან ენგელსის სახელობის ფრაქციების შექმნა. ჩვენთან 21-ე საუკუნეში პარლამენტში ჩამოაყალიბეს მიშელის რეფორმების სახელობის ფრაქცია. ცალკე თემაა ამ ფრაქციის ჭრელი შემადგენლობა. ხსენებული დოკუმენტით გამოიხატა აშშ-ის მისწრაფებები და მობილიზება, გეგმები საქართველოში.

– ბოლო დროს აშშ-ში თითქმის ერთდროულად იმყოფებოდნენ ქართველი პოლიტიკოსების დელეგაციები. სანამ ამ პროცესის ყველაზე სკანდალურ მომენტზე გადავალთ, იქნებ შეეხოთ მელიასა და გახარიას ამერიკაში ჩასვლას? ადრე ამბობდით, რომ რუსეთის პოლიტტექნოლოგები მუშაობენ მელიასა და გახარიას გმირებად ქცევაზე. დღეს ისინი ვაშინგტონმოვლილები არიან და რეიტინგების სამეულში შედიან.

– რუსეთის პოლიტტექნოლოგების მოფიქრებული სქემებით მელიასა და გახარიას გასუპერმენება გაზაფხულზე დაიწყო. აშშ-ის ელჩის დამსახურებით რუსული რევოლუცია გახარიასა და ნაციონალების მონაწილეობით ჩაშალა. თუმცა რუსული პოლიტტექნოლოგიური მანქანა ისევ მუშაობს. გარკვეულ წრეებს დავალებული აქვთ გახარიასა და მელიას გაპიარება. ამაში მონაწილეობენ ექსპერტებიც. ქართველი ე.წ. ანალიტიკოსების უმრავლესობა მიჩვეულია შავზე თეთრის თქმას. მათი ვოიაჟებიც ამ ჭრილში შუქდებოდა. იმისათვის, რომ რომელიმე პოლიტიკოსის ან დელეგაციის ჩასვლა აშშ-ში ჩაითვალოს ვიზიტად, მათთვის უნდა არსებობდეს მოწვევა. პოლიტიკოსებისთვის ოფიციალური მოწვევის უზრუნველყოფა შეუძლიათ აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის პროფილურ კომიტეტებს, ქვეკომიტეტებს, სპიკერებს, სახელმწიფო დონეზე – პრეზიდენტს, სახელმწიფო მდივანსა და სამინისტროებს. ერთი რომელიმე პირის (კონგრესმენის, სენატორის) მხრიდან მოსაწვევი ვერ იქნება ოფიციალური. ეს იქნება კერძო მოწვევა. ყველა პოლიტიკოსი, რომლებიც ბოლო ხანს ჩასული იყვნენ ვაშინგტონში, იმყოფებოდნენ კერძო ვიზიტით, საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით. ეს ეხება ნაცმოძრაობასაც, გახარიასაც და „ლელოსაც“. გასაკვირია აშშ-ში საქართველოს საელჩოს აქტიურობა. საქართველოს საელჩო საეჭვოდ იყო ჩართული ამ ოპოზიციონერების ქმედებებში. ეს ვოიაჟები არასერიოზულიცაა და ვიზიტორებისთვის სარისკოც.

– სარისკო რატომ არის?

– იმიტომ, რომ მიმართულია საქართველოში აშშ-ის ელჩის წინააღმდეგ. მათ ელჩის მეშვეობით არაფერი გამოუვიდათ, შემდეგ თავისით ჩავიდნენ და კელი დეგნანს ასმენდნენ. იმას ვერ ხვდებიან, რომ ელჩის განცხადებები სრულად შეესაბამება ამერიკის პოლიტელიტისა და ადმინისტრაციის განცხადებებსა და მისწრაფებებს. არ ვიცი, როგორ ხარიას შედეგია, მაგრამ გახარიას ყველა მხრიდან ბწკენა-ბწკენით ახრჩობენ. ოპოზიცია ვერ აცნობიერებს, რომ გახარიას შანსი მისი შანსია. ამის გამოყენებას უნდა ცდილობდეს და არა მის დაკარგვას, თან ახლა უნდა ჰქონდეთ გახურებული სწორად დაგეგმილი წინასაარჩევნო კამპანია და ჩვენ რას ვხედავთ, ერთმანეთის ლანძღვა-გინებით არიან დაკავებული. ასეთი არასწორი აქცენტები არასდროს ყოფილა. არ ვიცი, რას დავაბრალო. ამ გადმოსახედიდან ოპოზიციის შანსები ძალიან პესიმისტურად გამოიყურება.

– ბოლო სოციოლოგიურმა კვლევებმა რა გვიჩვენა?

– ამ კვლევებმა ტენდენცია გამოკვეთა. ამ ტენდენციის უარყოფა კი არავის შეუძლია. ეს არის ის განწყობა, რომელიც არის საზოგადოებაში, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, საზოგადოების ნაწილი, რომელიც აცრას იმიტომ არ იკეთებს, ბილ გეიტსმა ჩიპით უნდა მაკონტროლოსო, არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ან იმ გამოკითხვის დროს ბოლომდე გულწრფელია. არადა, სოციოლოგია რესპონდენტის გულწრფელობაზეა დაფუძნებული. წინაალმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, აზრს კარგავს. ამიტომაც გვაქვს აცდენა სოციოლოგიურ კვლევებსა და არჩევნების შედეგებს შორის. მეორეც, თუ კვლევა სწორია, სწორად არის ჩატარებული და არჩევნებში სხვა შედეგი იდება, გამოდის, არჩევნები ყალბდება. ამიტომაც არ არის ასე მარტივად საქმე.

***– ბატონო მირიან, ბოლო დროს ეროვნული ერთიანობის ფონზე ბევრი ლაპარაკობენ ოპოზიციის ერთიანობაზე. ეს ერთიანობა ოპოზიციის ლიდერებს ერის ლიდერ ბიძინა ივანიშვილზე ამბობენ

8 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის სამეგრელოში მამა-შვილი დააკავეს

სოფლის მოსახლეობამ მათ სახლი გადაუწვა

8 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის სამეგრელოში 24 ივნისს მამა-შვილი დააკავეს.

შემთხვევა მარტვილის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მოხდა.

დაკავებულები 65 და 35 წლის მამაკაცები არიან.

25 ივნისს ძალადობაში ეჭვმიტანილი მამა-შვილის სახლს სამეგრელოში მეზობლებმა ცეცხლი წაუკიდეს.

როგორც ერთ-ერთი მეზობელი „ამბებთან“ საუბარში აცხადებს, ბავშვმა მომხდარის შესახებ მშობლებს მას შემდეგ უამბო, რაც ძლიერმა ტკივილებმა შეაწუხა.

– მთელი სოფელი ფეხზე იდგა. მას შემდეგ, რაც პოლიციამ მამა-შვილი წაიყვანა, მეზობლებმა მათი ოჯახის წევრები აიძულეს, იქაურობა დაეტოვებინათ. ფიზიკური დაპირისპირებაც იყო. 35 წლამდეა შვილი და დაახლოებით 60 წლამდე მამა. ორივეს ცოლ-შვილი ჰყავს, მათ ოჯახშიც იზრდებოდნენ ბავშვები. კარგი რეპუტაციის ოჯახი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ასეთ რამეს ვერავინ წარმოვიდგენდი, – აცხადებს ერთ-ერთი მეზობელი.

8 წლის გოგონას დედამ „მთავარ არხთან“ პირველი კომენტარი გააკეთა.

– ჯერ მოგვიყვა 65 წლის კაცზე და შვილიც იმავეს მიშვრებოდაო, მაშინებდნენ ორივე სიკვდილითო, ჯერ შენ მოგკლავთ და მერე დედაშენს და ერთად დაგმარხავთო. დანით და თოფით ემუქრებოდნენ... ორი წელი გრძელდებოდა. ბაღში რომ დავდიოდი, პირველად მაშინ მოხდაო. პოულობდა ისეთ მომენტს, როცა მარტო რჩებოდა ბავშვი და ეძახოდა... პირზე აფარებული მქონდა ხელი და ვერ ვიძახდიო, ყველაფერი მოძალადეების სახლში ხდებოდა, – ამბობს 8 წლის გოგონას დედა.

ბრალდებულის მეუღლემ საზოგადოებას ბოდიში მოუხადა. ქალი ამბობს, რომ დანაშაულის შესახებ მან არაფერი იცოდა და ახლობლისგან შეიტყო, მალევე კი მათ სახლთან პოლიცია მივიდა და მის მეუღლესა და მამამთილს ხელბორკილები დაადო.

– განადგურებული ვარ, დამტოვა 4 შვილით, ისეთი ოჯახები დამაკარგვინა, დიდ პატივს ვცემდი და დღესაც ასეა. ყველას დიდ ბოდიშს ვუხდი, რომ მანიაკებთან ვცხოვრობდი 13 წლის განმავლობაში და მე ეს ფაქტი ახლა გავიგე.

ახლობელმა დამირეკა და ამას და ამას აბრალებენო, მე არ დავიჯერე, მაგრამ ვთქვი სახლშიც, თუ ეს შენ დაგატყდა, ადექი, თავი მოიკალი-მეთქი. უარყვეს, გავიდა 20 წუთი და მოვიდა პოლიცია და დააკავეს, – ამბობს ბრალდებულის ცოლი.

ბრალდებული 63 წლის მამაკაცი ტრაქტორის მძღოლია. მას ეკონომიკურად უჭირდა და ხშირად დადიოდა 8 წლის გოგონას ოჯახში. მისი შვილი ადრე ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს.

მეზობლები აცხადებენ, რომ მამა-შვილი გოგონას მშობლების ოჯახში ხშირად სადილობდა. ბავშვის მშობლებს კი არასდროს უეჭვიათ მსგავს დანაშაულზე.

დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ

8 წლის ბავშვის მამა ამბობს, რომ მეზობლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და არასდროს რამე მსგავსი არ შეუმჩნევია.

– წლების მეზობლები ვართ და ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. რამე რომ შემემჩნია, ისინი დღეს ციხეში არ იქნებოდნენ, ცოცხლად დავწვავდი მაგათ, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია. მინდა მივმართო სასამართლოსა და პროკურატურას, ხელისუფლებას, რომ დაისაჯონ სრული სიმკაცრით, – ამბობს არასრულწლოვნის მამა.

მამა-შვილი ბრალს არ აღიარებს.

პროკურატურის ინფორმაციით, 8 წლის ბავშვის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულმა ერთ-ერთმა პირმა კიდევ ერთი არასრულწლოვნის, 9 წლის გოგონას მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩაიდინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლიდან 2021 წლის 21 ივნისის ჩათვლით ბ.გ. და ზ.გ. დაზარალებულის ასაკის გამო მისი უმწეობის გამოყენებით, 8 წლის გოგონა რამდენჯერმე გააუპატიურეს. ასევე დადგინდა, რომ 2018 წლის 21 იანვარს ზ.გ.-მ დაზარალებულის ასაკის გამო უმწეობის გამოყენებით, ძალადობით 9 წლის გოგონას მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩაიდინა.

ბ.გ. და ზ.გ. დაზარალებულ არასრულწლოვნებს, თუ ისინი მომხდარის შესახებ ვინმეს მოუყვებოდნენ, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარი დანაშაულის შესახებ შეტყობინება 2021 წლის 23 ივნისს მიიღო და ფაქტზე გამოძიება იმავე დღეს დაიწყო. სამართალდამცველებმა ბ.გ. და ზ.გ. 23 ივნისს დააკავეს.

მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინათ (გაუპატიურება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ ბ.გ.-ს ორი ეპიზოდი, ზ.გ.-ს სამი ეპიზოდი), ხოლო ზ.გ-ს ასევე ბრალდება 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩადენილი ძალადობით, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან) წარედგინა.

ორივე პირისთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„კურიერის“ ინფორმაციით, მეორე არასრულწლოვანი, რომელზეც სამეგრელოში დაკავებულმა მამა-შვილმა სექსუალურად იძალადა, იმ 8 წლის ბავშვის და არის, რომელზეც დაკავებულები 2 წლის განმავლობაში ძალადობდნენ.

25 ივნისს ბრალდებულ მამა-შვილს ადვოკატი შეხვდა.

– სანამ არ გავეცნობი საქმის მასალებს, ვერანაირად ვერ გაცნობებთ ვერაფერს. მით უმეტეს ბავშვების ინტერესებია აქ და მე არ მაქვს უფლება, – განაცხადა მან.

26 ივნისს მამა-შვილს პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ლევან ნუცუბიძემ მიიღო. პროცესი სენაკის რაიონულ სასამართლოში გაიმართა და ის დახურული იყო.

ვატო ყიფიანს ბრალად ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობის მომზადება ედება

მას პატიმრობა შეეფარდა

25 ივნისს თბილისის აეროპორტში კრიმინალური ავტორიტეტი ვატო ყიფიანი დააკავეს.

მას ბრალად ედება ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობის მომზადება.

ძმები ფეიქრიშვილების შეკვეთილი მკვლელობის მთავარი მოტივი 2016 წელს, ვაკეში მომხდარ მკვლელობას უკავშირდება. საუბარია ბადუკა ნათობაძეზე, რომელმაც საკუთარ მანქანაში სოსო ჯოხაძე ჩაცხრილა. სწორედ სოსო ჯოხაძის საახლობლო წრიდან არის ვატო ყიფიანიც.

სუსმა ძმები ფეიქრიშვილების შეკვეთილი მკვლელობა 2020 წლის იანვარში აღკვეთა. საქმეზე დაკავებულია საქართველოს 6 და უკრაინის 1 მოქალაქე.

თბილისსა და ბათუმში დაკავებულია საქართველოს 6 მოქალაქე. კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დამამძიმებელ გარემოებებში ორი პირის, განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე თბილისში საქართველოს 2 მოქალაქე: გ.ბ და ბ.ც, ხოლო ბათუმში, ასაფთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, დამზადების და გასაღების ფაქტზე საქართველოს 4 მოქალაქე: რ.ბ, ნ.ბ, გ.თ. და ი.მ. დააკავეს.

საქართველოში მიმდინარე დაკავების ღონისძიებების პარალელურად, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ქალაქ ხარკოვში ამავე დანაშაულთან კავშირში მყოფი პირი, უკრაინის მოქალაქე ბ.მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ უკრაინაში დაიგეგმა თბილისში მცხოვრები ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობა, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური დისტანციურად მოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით უნდა განხორციელებულიყო.

თავდასხმის ერთ-ერთ ფორმად ძმების ავტომანქანაში 1 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილის“ აფეთქება დისტანციურად მოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობით იგეგმებოდა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ, შეკვეთით, განზრახ მკვლელობის მომზადების და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, დამზადების და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-109 მუხლით, რაც სასჯელის სახით 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ან უვადო პატიმრობას გულისხმობს.

ვატო ყიფიანის ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავების დეტალებზე ისაუბრა.

– დააკავეს მკვლელობის მცდელობის საქმეზე, რომელზეც მოწმის სახით ერთხელ უკვე იყო დაკითხული, გამოუშვეს, გამოძიება მიმდინარეობდა და დღეს დააკავეს. საფუძველი არის ის, თითქოს მას ჰქონდეს ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელიც თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 20 წლამდე ვადით. თითქოს მოსალოდნელია სასჯელის შიშით დაიმალოს და ობიექტური გამოძიების ჩატარების საშუალება არ მისცეს გამოძიებას, რაც აბსურდია! ამის შიში რომ ჰქონოდა, დაკითხვაზეც არ მივიდოდა. არანაირი საფუძველი მისი დღეს დაკავების არ არსებობდა, ვფიქრობ, გაურკვევლობაა.

ნამდვილად უკავშირდება ძმები ფეიქრიშვილების საქმეს მისი დაკავება, თუმცა რა ახალი მტკიცებულებები მოიპოვა გამოძიებამ, არ ვიცით. 2 თვის წინ თბილისში დაკითხეს, დაბარებული იყო, უკრაინიდან ჩამოვიდა, დაკითხეს რამდენიმე დღეში, უკან წავიდა. დღეს ისევ ჩამოვიდა, – განაცხადა მარიკა ფხალაძემ.

ადვოკატის თქმით, ვატო ყიფიანს თავისუფლება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 25 ივნისის დღის პირველი საათიდან ჰქონდა აღკვეთილი, ოფიციალურად მისი დაკავების დროდ კი ოქმში 20:00 საათია მითითებული.

„მთავარის“ ინფორმაციით, ვატო ყიფიანი სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთას ვახტანგ წულუკიძის სახელითა და გვარით ცდილობდა. წყაროს ცნობით, ამავე გვარით გააფორმეს ის დროებითი მოთავსების იზოლატორშიც.

26 ივნისს საქალაქო სასამართლომ ვატო ყიფიანს 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდა.

– 8 საათის განმავლობაში ვერ წყვეტდნენ, რა უნდა ექნათ, შემდეგ მოიტანეს საქმე, რომელზეც ჩვენება მაქვს მიცემული, თურმე ერთ საათში გადაწყდა, რომ მე ვარ მკვლელიც, დამკვეთიც და ყველაფერიც, – განაცხადა პროცესზე ვატო ყიფიანმა.

მისივე თქმით, აეროპორტში განუცხადეს, რომ მისი ყოფნა საქართველოში სასურველი არ იყო, თუმცა წასვლა არ ისურვა და ქვეყანაში დარჩა.

– აეროპორტში დიდი ხნით უსაფუძვლოდ ვიყავი დაკავებული, 8 საათზე რატომ მოხდა ჩემთვის ბრალის წაყენება ვერ გავიგე. ჩამოვფრინდი 13:00 საათზე, დამხვდნენ საზღვართან და 20:00 საათამდე ველოდებოდით. 8 საათის განმავლობაში ვერ წყვეტდნენ, რა უნდა ექნათ, შემდეგ მოიტანეს საქმე, რომელზეც ჩვენება მაქვს მიცემული. თურმე ერთ საათში გადაწყდა, რომ მე ვარ მკვლელიც, დამკვეთიც და ყველაფერიც. მითხრეს, რომ ამ ეტაპზე ჩემი ყოფნა საქართველოში არ იყო სასურველი, მაგრამ არსად არ წავედი, საქართველოში დავრჩი, – აღნიშნა ვატო ყიფიანმა.

ბრიტანული ხომალდი HMS DEFENDER საქართველოშია

ბათუმის პორტში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების ხომალდი „HMS DEFENDER“ შემოვიდა. ხომალდის მეთაურს, II რანგის კაპიტან ვინს ოუენსა და ეკიპაჟის წევრებს ბათუმის პორტში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და საქართველოში ბრიტანეთის ელჩი მარკ კლეიტონი დახვდნენ.

საპორტო ვიზიტი მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებას.

ხომალდის ვიზიტის ფარგლებში, ორი ქვეყნის საზღვაო დანაყოფების წარმომადგენლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ. შავ ზღვაში ბრიტანული ხომალდ HMS DEFENDER-ისა და საქართველოს სანაპირო დაცვის კატარღების მონაწილეობით ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს ეკიპაჟებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებას და სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საჰაერო თავდაცვის გამანადგურებელი HMS DEFENDER (D36) საქართველოს პირველად სტუმრობს. DARING კლასის გამანადგურებელი თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო და ხომალდსაწინააღმდეგო სისტემებითაა აღჭურვილი.

სტრასბურში ქართულ-სომხური მაფიის წევრები დააკავეს

სტრასბურში ქართულ-სომხური მაფიის წევრები დააკავეს.

ისინი 21 ივნისს ქვემო რეინში დააკავეს. ცნობილია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის 12 წევრი წინასწარი მოთავსების იზოლატორშია მოთავსებული. დაკავებულთა შორის ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი და სომხური დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი არიან.

დაკავებულების სახლების ჩხრეკის დროს პოლიციამ 17.000 ევრო ამოიღო. ამოღებულია 4 მანქანა, 1 მოტოციკლი, 5 პისტოლეტი, ძვირადღირებული სუნამოები, სამკაული და ტყავის ნაკეთობები.

ქართულ-სომხური მაფიის წევრების დასაკავებლად გამოძიება 2019 წელს დაიწყო.

საგარეჯოში მერსედესი მოტოციკლს დაეჯახა

45 წლის ქალი დაიღუპა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაიღურში მომხდარი ავტოავარიის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. თვითმხილველების ინფორმაციით, „მერსედესის“ მარკის ავტომობილი მოტოციკლს შეეჯახა. შედეგად, ავტომობილის მგზავრი, 45 წლის ქალი, ადგილზე დაიღუპა.

მოტოციკლის მძღოლი სხეულის სხვადასხვა არეში მიყენებული დაზიანებებით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. კლინიკაში მოხვდა მსუბუქი მანქანის კიდევ ერთი მგზავრი. მომხდარზე გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევის მუხლით დაიწყო.

შინაგან საქმეთა მინისტრს ბრიტანულ ხომალდზე უმასპინძლეს

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების ხომალდ HMS DEFENDER-ზე საქართველოში ბრიტანეთის ელჩმა მარკ კლეიტონმა და ხომალდის მეთაურმა, II რანგის კაპიტანმა ვინს ოუენმა უმასპინძლეს.

ხომალდის ოფიციალურ ტურში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე მონაწილეობდნენ.

მეთაურმა ვინს ოუენმა ქართული დელეგაციის წევრებს ხომალდი დაათვალიერებინა და მისი ტექნიკური მახასიათებლებისა და საზღვაო ოპერაციების შესახებ დეტალური პრეზენტაცია წარუდგინა.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სამხედრო საზღვაო ფლოტის საჰაერო თავდაცვის თანამედროვე ტიპის გამანადგურებელი HMS DEFENDER საქართველოში 26 ივნისს შემოვიდა. ხომალდის ვიზიტი მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებას.

საპორტო ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის საზღვაო დანაყოფების წარმომადგენლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ. ასევე, ბრიტანული ხომალდ HMS DEFENDER-ისა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდის მონაწილეობით შავ ზღვაში ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს ეკიპაჟებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებასა და სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას.

ინგლისის ჯანდაცვის მინისტრი მეთ ჰენკოკი თანამშრომლის კოცნის გამო გადადგა

გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის მდივანი მეთ ჰენკოკი თანამშრომელთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა.

პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილ წერილში მან აღნიშნა, რომ მთავრობა „ვალდებულია, გულწრფელი იყოს იმ ხალხის წინაშე, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო ამ პანდემიის დროს“.

ბორის ჯონსონმა აღნიშნა, რომ ის წუხს ჰენკოკის გადადგომის გამო.

ჰენკოკი კრიტიკის ქარცეცხლში გამოცემა სანის მიერ გამოქვეყნებული ფოტოს შემდეგ მოექცა. ფოტოზე ჯანდაცვის მდივანი თანამშრომელ ჯინა კოლადანჯელოს კოცნის. ორივე მათგანი ქორწინებაში იმყოფება. ფოტო ჯანდაცვის დეპარტამენტის შენობაში 6 მაისს იყო გადაღებული. ჰენკოკს ადანაშაულებდნენ, რომ „სოციალური დისტანციის ზომები“ დაარღვია.

– მე ვაცნობიერებ იმ უზარმაზარ მსხვერპლს, რომელიც ყველამ გაიღო ამ ქვეყანაში და ისინი, ვინც წესებს აწესებენ, უნდა იცავდნენ მათ, ამიტომ უნდა გადავდგე, – აღნიშნა ჰენკოკმა ვიდეომიმართვაში.

გადადგომის წერილში ჰენკოკმა ასევე გაიმეორა თავისი ბოდიში წესების დარღვევის გამო და ბოდიში მოუხადა ოჯახსა და საყვარელ ადამიანებს ამ მდგომარეობაში ჩაყენებისთვის.

საპასუხოდ მას პრემიერმა მადლობა გადაუხადა.

– თანამდებობა უნდა დატოვოთ ძალიან ამაყად იმით, რასაც თქვენ მიაღწიეთ – არა მხოლოდ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ჯერ კიდევ მანამ, სანამ კოვიდ 19-ის ვირუსი დაგვარტყამდა, – აღნიშნა ჯონსონმა.

ჯანდაცვის მდივნის თანამდებობას, სავარაუდოდ, საჯო ჯავიდი დაიკავებს.

ევროკავშირში ვაქცინის ორივე დოზით მოქალაქეთა 31.5% აიცრა, აშშ-ში — 45.8%

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 180 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 2.89 მილიარდამდე დოზაა გამოყენებული.

გამოყენებული ვაქცინების რაოდენობა პლანეტის მოსახლეობის 18.9%-ის ორივე დოზით აცრისთვის არის საკმარისი.

მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად საშუალოდ 43.6 მილიონ ადამიანს უტარდება. ყველაზე მეტი, 1.14 მილიარდი ვაქცინა, ჩინეთში გამოიყენეს. მას ევროკავშირი მოჰყვება 350 მილიონი დოზით. აშშ-ში ვაქცინების 322 მილიონი დოზა გამოიყენეს, ინდოეთში კი – 321 მილიონი. ისრაელში ორივე დოზით მოქალაქეთა 57% აიცრა, ევროკავშირში – 31.5%, აშშ-ში კი – 45.8%.

სომხეთის პარლამენტში ფაშინიანის პარტიამ 71 მანდატი მიიღო

სომხეთის საარჩევნო ადმინისტრაციამ პარლამენტში მანდატების რაოდენობა დაასახელა, რომელიც არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებსა და ბლოკებს ერგოთ.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლ ფაშინიანის პარტია „ეროვნული თანხმობა“ ახალი მოწვევის პარლამენტში 71 მანდატს მიიღებს, სომხეთის მეორე პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის ბლოკი „სომხეთი“ – 29 მანდატს, მესამე პრეზიდენტის სერჟ სარგსიანისა და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის არტურ ვანეციანის ბლოკი „მაქვს პატივი“ 7 ადგილს დაიკავებს.

ამის შესახებ სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე ტიგრან მანუკიანმა განაცხადა.

სომხეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 20 ივნისს გაიმართა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა მეზობლის თუთიყუშს გინების გამო უჩივლა

ინგლისის დარემის საგრაფოს ქალაქ ჰარტლპულში ქალმა პოლიციაში მეზობლის თუთიყუშს იმის გამო უჩივლა, რომ თითქოსდა ის მას შეურაცხყოფას აყენებდა.

58 წლის გილ გრიგმა განაცხადა, რომ 60 წლის სტივენ დევიდსონმა თუთიყუშს სახელად პაბლოს მისთვის დედის გინება ასწავლა. ქალმა ფრინველის მხრიდან შეურაცხყოფის მიყენება ვერ აიტანა და სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა.

დევიდსონმა აღიარა, რომ მისმა 29 წლის ფრინველმა უცენზურო სიტყვები იცის, მაგრამ კატეგორიულად უარყო, რომ მას ეს სიტყვები სპეციალურად ასწავლა, რათა მეზობელი ქალისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.

– პაბლო ბევრს იგინება. მე მას „ბინძურ პირს“ ვეძახი, მაგრამ ის უბრალოდ ტელევიზორში ან მის გარშემო გაგონილს იმეორებს. მე მისთვის სპეციალურად არ მისწავლებია ვინმესთვის შეეგინებინა, – ხაზგასმით აღნიშნა თუთიყუშის პატრონმა.

მამაკაცმა განმარტა, რომ გრიგი მას სახლის გაფართოების გეგმის გამო დაუპირისპირდა.

– მას არ მოეწონა, რომ ჩვენ გაფართოების წინააღმდეგები ვართ. სინამდვილეში ჩვენ მასთან გვაქვს პრობლემები და არა თუთიყუშთან. ვწუხვარ, რომ პაბლო ამ ისტორიაში აღმოჩნდა ჩათრეული, – განაცხადა გრიგმა.

დათვის თავდასხმის შემდეგ დაკარგული ტურისტი ცოცხალი გადარჩა

ამერიკის ალასკას შტატის კინკ-რივერის რაიონში დაკარგული ტურისტი ქალი, მასზე დათვის თავდასხმიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ, ცოცხალი გამოჩნდა.

55 წლის ფინა კიფერი კინკ-რივერის პიონერ-რიჯის ტურისტულ ბილიკზე გადაადგილდებოდა. მან 15 ივნისს მეუღლეს დაურეკა და დახმარება სთხოვა. კიფერმა თქვა, რომ მას დათვები დაესხნენ თავს, მაგრამ მან მტაცებლების დასაფრთხობი სპეციალური სპრეის გამოყენება მოასწრო.

მალე ქალის ტელეფონი ზარებს აღარ პასუხობდა. მის მოსაძებნად მაშველები და მოხალისეები გაემართნენ. მაშველები ადგილმდებარეობას ჰაერიდანაც აკვირდებოდნენ.

მეორე დღეს, 16 ივნისს, სამძებრო სამუშაოები ცუდი ამინდის გამო შეჩერდა, თუმცა მოხალისეთა ერთმა რაზმმა ტურისტული ბილიკიდან კილომეტრნახევარში მდებარე ტყიდან გამოსული ქალი შენიშნა.

კიფერი საავადმყოფოში გადაიყვანეს დათვების თავდასხმის შედეგად მიღებული დაზიანებების სამკურნალოდ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ტოკიოში უკვე 32 ლიცენზიატი გვყავს

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის სია 32-მდე გაიზარდა. 22 აქამდეც იყო ცნობილი, რომელთაც შემდეგ 9 ძიუდოისტი დაემატა და ერთიც – მხატვრული ტანვარჯიშიდან.

ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავაზე ოფიციალური დასტური საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ორშაბათს, 28 ივნისს ჩამოვა, ხოლო ძიუდოისტებზე უკვე მივიდა.

ძიუდოისტები კაცებში ტოკიოში სრული გუნდით იქნებიან წარმოდგენილნი, ქალებში კი 2 მონაწილე გვეყოლება.

ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლაშა გუჯეჯიანს შემადგენლობა უკვე შერჩეული ჰყავს.

ლუხუმ ჩხვიმიანი (60კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ტატო გრიგალაშვილი (81), ლაშა ბექაური (90), ვარლამ ლიპარტელიანი (100) და გურამ თუშიშვილი (+100) კაცთა შორის იასპარეზებენ, ხოლო ქალებში ტატიანა ლევიცკაშუკვანი (52) და ეთერ ლიპარტელიანი (57) გამოვლენ.

შემადგენლობაში, შესაძლოა, ერთი ცვლილება განხორციელდეს. საქმე ის არის, რომ ლაშა ბექაურმა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ტრავმა მიიღო და, თუ მისი გამოჯანმრთელება ვერ მოესწრო, ტოკიოში ბექა ღვინიაშვილი წავა.

ერთადერთი, ტოკიოში ვერ ვიასპარეზებთ გუნდურად, რადგან მინიმუმ 3 ლიცენზიატი ქალი უნდა გვყავდეს. ჩვენ კი ამ კვოტაში ვერ ჩავჯექით.

ზემოთ ნახსენები სპორტსმენების გარდა, სადღეისოდ ტოკიოს ლიცენზია მოპოვებული აქვთ ნინო სალუქვაძეს (ტყვიის სროლა), ავთანდილ კენჭაძეს, ელიზბარ ოდიკაძეს, გენო პეტრიაშვილს (ყველა თავისუფალი ჭიდაობა), რამაზ ზოიძეს, ლაშა გობაძეს, გიორგი მელიას, იაკობ ქაჯაიას (ყველა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი მუჯარიძეს (ბირთვის კვრა), ლაშა ღულელაურს (სამხტომი), სახილ ალახვერდოვს, ესკერხან მადიევს, გიორგი ხარაბაძეს (ყველა კრივი), სანდრო ბაზაძეს (ფარიკაობა), ლაშა ტალახაძეს, ანტონ პლესნოის, შოთა მიშველიძეს, გოგა ჩხეიძეს (ყველა ძალოსნობა), გოგიტა არქანიას (კარატე), მარიამ იმნაძეს, დავით აბესაძეს (ორივე ცურვა) და ნიკოლოზ ბასილაშვილს (ჩოგბურთი).

ზაფხულის 32-ე ოლიმპიური თამაშები იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე გაიმართება.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა მოგებას წაგება შეუნაცვლა

თბილისში დაიწყო წყალბურთის მსოფლიო ლიგის სუპერფინალი. საქართველოს დედაქალაქს 7 ნაკრები ეწვია და მასპინძლებთან ერთად ამ პრესტიჟულ ტიტულს გაითამაშებენ, რომელიც ოლიმპიური თამაშების შემდეგ საუკეთესოდ ითვლება.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილე გუნდებიდან ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ საქართველო და საფრანგეთი არ იქნებიან.

საქართველომ კი კარგად დაიწყო ტურნირი და პირველ ტურში იაპონიის ნაკრები 13:12 დაამარცხა. მატჩი ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა: პირველი მეოთხედი 3:3 დასრულდა; მეორეში ქართველებმა იძალეს და 4:2 მოიგეს; უხვგოლიანი მესამე მეოთხედი იაპონელებს დარჩათ – 6:5; ბოლო მეოთხედი ისევ ფრედ, 1:1 დასრულდა და საქართველოს სამი ქულა დარჩა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ანდრია ბითაძე დასახელდა, რომელმაც მეტოქის კარში 4 გოლი გაიტანა. ასევე 4 გოლით გამოირჩა ფაბიო ბარალდი.

ჩვენს ჯგუფში ჩერნოგორიის ნაკრებმა აშშ-ის ნაკრები დამაჯერებლად 10:6 დაამარცხა. ა ჯგუფში კი იტალიამ 17:11 დაამარცხა ყაზახეთი, ხოლო ბერძნებმა 10:8 მოუგეს ფრანგებს.

მეორე ტურში ჩვენები სწორედ ჩერნოგორიელებს შეხვდნენ. ყველაფერი პირველ მეოთხედში გადწყდა, როდესაც სტუმრებმა 8:2 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის სხვაობა კიდევ ორი ბურთით გაზარდეს – 14:6.

ჩვენებმა წააგეს დარჩენილი მეოთხედებიც: მესამე 1:3 და მეოთხე 1:2 და საბოლოოდ 19:8 ჩერნოგორიელთა სასარგებლოდ.

ორივე ჯგუფიდან მეოთხედფინალში ყველა გუნდის გადის. ფლეი ოფში გუნდები ჯგუფებში დაკავებული ადგილების მიხედვით ჯვარედინი სისტემით დაუპირისპირდებიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 2. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 3. სპარსელი პოეტი; 5. ორსართულიანი ლაზური სახლი; 6. ტბა დუშეთის რაიონში; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. საკანცელარიო ნივთი; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი მამაკაცი; 15. სადაზღვევო მოწმობა; 16. კომბინაცია პოკერში.

თარაზულად: 1. ოჯახის მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 4. ეგვიპტელი ქრისტიანები; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 9. შესანახად დამჟავებული ბოსტნეული; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. კუთხე საქართველოში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. „ფორმულა-1“-ში მოასპარეზე ესპანელი ავტომრბოლელი; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. საახალწლო ტკბილეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩოჩორი; 2. თოიძე; 3. შვეცია; 4. კლოუნი; 6. იამაიკა; 9. ზურნა; 11. ვალონია; 15. სეიდაბადი; 16. თამადა; 17. ნუვორიში; 19. ოლსტერი; 21. ბაზიერი; 22. კადიმა.

თარაზულად: 5. კოლორადო; 7. არეშიძე; 8. ბოლერო; 10. წურბელა; 12. ნაიკი; 13. ფრაზა; 14. ბონისტიკა; 18. აპოლო; 20. ბახუსი; 23. ჯაგერი; 24. ზღვა; 25. ჩედერი; 26. მუდო; 27. ფრეგატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სოჭი; 2. ტანგო; 3. სმალტა; 5. პონტო; 6. ბლანშეტი; 8. გრეიფუტი; 10. ევკომია; 12. ზინგერი; 14. უზანგი; 15. ვეძისი; 16. აპაჩი.

თარაზულად: 1. სტრიტი; 4. აპლომბი; 7. ხანუკა; 9. ტიროლი; 11. მეეზოვე; 12. ზურმუხტი; 13. ვოლანი; 17. რუზინე; 18. კუბა; 19. კრიმინალი; 20. მინისტრი.

ცაზოგადოება

ზურაბ ნიჟარაძე გარდაიცვალა

მხატვარი ზურაბ (პიკო) ნიჟარაძე 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გასული საუკუნის 50-იანელ მხატვართა გამორჩეული თაობის წარმომადგენელი, ახალგაზრდობაშივე გამოვლენილი განსხვავებული მხატვრული ხედვისა და შემოქმედებითი თავისუფლების გამო, მეგობრებმა ასოციაციურად პაბლო პიკასოსთან დააკავშირეს და მას მეტსახელად „პიკო“ შეარქვეს.

საქართველოს სახალხო მხატვრისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატის პერსონალური გამოფენები ეწყობოდა როგორც საქართველოში, ისე გერმანიის, რუსეთის, საფრანგეთის საგამოფენო სივრცეებში. ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, ასევე ლუდვიგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, რიო-დე-ჟანეიროს ნაციონალურ გალერეაში, ამერიკის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, შვედეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში.

ივანე ჯაფარიძე, ჟურნალისტი:

– ჩვენგან წავიდა კიდევ ერთი უდიდესი შემოქმედი, გენიალური მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე, რომელსაც ქართველი ხალხი მოფერებითა და საყოველთაო აღიარების ნიშნად „პიკოს“ ეძახდა.

თაობები მის გვერდით, მის ხელოვნებასთან ზიარებით გაიზარდნენ და, თუკი ჩვენში ყოველივე ესთეტიკურის მიმართ განსაკუთრებული ლტოლვა და სხვაგვარი დამოკიდებულებაა, ეს უთუოდ ზურაბ ნიჟარაძის საოცარმა ხელოვნებამაც განსაზღვრა. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მასთან ურთიერთობისა და შეხვედრების საშუალება მეც მომცა განგებამ.

მაგონდება ერთი შემთხვევა, როცა დაბადების 80 წლისთავზე ჩემს საავტორო გადაცემა „ჩვენს საგანძურში“ მოვიწვიე, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა და თითქმის მთელი გადაცემის განმავლობაში სახვით ხელოვნებასა და შემოქმედებისადმი საკუთარი კრედოს შესახებ ისაუბრა. ამ მოპატიჟებას კი ასეთი შემთხვევა უძღოდა წინ; 2008 წლის 30 ნოემბერი თუ 1 დეკემბერი იყო. დილაადრიან, სამსახურში მისულს, ტელევიზიის შენობის ფოიეში განრისხებული ბატონი ზურაბი დამხვდა. მყისვე მივედი და განრისხების მიზეზი ვკითხე. თურმე დილის გადაცემაში გოგონას მიუწვევია „საიუბილეო სიუჟეტისთვის“. 5-წუთიან სიუჟეტში ორი სიტყვაც არ ათქმევინეს, ისე დაამთავრეს სტუმართან „დიალოგი“ და ამის გამო იყო აღშფოთებული. – უთენია მომიყვანეს და სიტყვა არ მათქმევინესო. სწორედ მაშინ შევთავაზე, – 4 დეკემბერს თქვენი დაბადების დღეა, თანაც საიუბილეო, მეც ამ დღეს ვარ ეთერში, ერთსაათიანი გადაცემა მაქვს, სულითა და გულით გეპატიჟებით და ამ დროში, რაზეც გნებავთ, ისაუბრეთ-მეთქი. თვალებგაფართოებულმა გამომცდელად შემომხედა – ამოწმებდა, მეც ხომ არ „ვთაღლითობდი“. – რაზეც მინდა, იმაზე შემიძლია ვისაუბროო? – მკითხა. მტკიცე პირობა რომ მივეცი, გულზე მოეშვა, სიფიცხემ გადაუარა და დამპირდა, რომ დათქმულ დროს ჩემთან იქნებოდა. რადგან ძირითადი საქმე უკვე მოგვარებული იყო, გადავწყვიტე, ბატონი ზურაბისათვის სიურპრიზი შემეთავაზებინა და სტუდიაში მისი ბავშვობისა და ჩემი უფროსი მეგობრები – ნოდარ (ოჩო) ცერცვაძე და ვახტანგ ანანიაშვილი მომეწვია ისე, რომ მას ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ბატონ ზურაბს სურდა და მეც მქონდა ჩაფიქრებული. ძალზე კმაყოფილი დარჩა და სტუდიიდან გამოსვლისთანავე ყველას „გვიბრძანა“: ახლა მე გამომყევით, ვიცი, სადაც უნდა წაგიყვანოთო. ის საიუბილეო დღე „ვიწრო წრეში“ – ოთხმა აღვნიშნეთ, რაც ყველას დაუვიწყარ მოგონებად შემოგვრჩა. ის ისტორიული ჩანაწერი კი სამუდამოდ დარჩა ზურაბ ნიჟარაძისა და ჩემს პირად არქივებში.

ბატონი ზურაბის გარდაცვალება ყველასთვის უდიდესი დანაკლისია, მაგრამ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ოჯახის შემდეგ ეს ამბავი უმძიმესია მისი ბავშვობის მეგობრებისთვის, რომელთა მეშვეობით თითქმის ყოველდღე საქმის კურსში ვიყავი ბატონი ზურაბის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მაინც ყველანი უძლურნი ვართ ადამიანის სიცოცხლის საბოლოო და გარდაუვალი შედეგის მიმართ.

ნათელში იყოს დიდებული პიროვნების, ბრწყინვალე მხატვრის, ბატონი ზურაბ ნიჟარაძის სული. ვიდრე საქართველო იარსებებს, მისი შემოქმედებაც მასთან ერთად უკვდავი იქნება!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იტალია და დანია მეოთხედფინალში გავიდნენ

უელსი-დანია 0:4

ამსტერდამი. იოჰან კრუიფი

0:1, 0:2 დოლბერგი (27, 48), 0:3 მეჰლე (88), 0:4 ბრაიტვაიტი (90)

უელსი: უარდი, კ.რობერტსი (ნ.უილიამსი 40), როდონი, მეფამი, დევისი, მორელი (უილსონი 60), ალენი, ჯეიმსი (ბრუკსი 78), რემზი, ბეილი, მური (ტ.რობერტსი 78)

დანია: შმეიხელი, კრისტენსენი, კიაერი (ანდერსენი 77), ვესტერგაარდი, ს.ლარსენი (ბოილესენი 77), ჰოიბერგი, დილეინი (იენსენი 60), მეჰლე, დამსგაარდი (ნორგაარდი 60), დოლბერგი (კორნელიუსი 70), ბრაიტვაიტი

დანიის ნაკრები ბოლო მატჩებში ფერზე მოდის და რუსეთის განადგურების შემდეგ მათ კვალს უელსიც მიაყოლა. დანიელებმა ისევ 4 გოლი გაიტანეს და კარი ამჯერად მშრალად შეინახეს.

კასპერ იულმანმა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა, მაგრამ ამას გუნდის თამაშზე ცუდი გავლენა არ მოუხდენია – სკანდინავიელებმა ჩინებული ფეხბურთი ითამაშეს და მეოთხედფინალშიც დამსახურებულად გავიდნენ.

უელსი ბევრს ეცადა, მაგრამ წინააღმდეგობა მხოლოდ მატჩის დასაწყისში გაუწია. დანიამ მალევე იგდო ხელთ ინიციატივა და 27-ე წუთზე კასპერ დოლბერგმა ანგარიში გახსნა. უელსის ნაკრებს გეგმა ბ არ აღმოაჩნდა, მთლიანად „მიენდო“ მეტოქეს, რომელიც თამაშს აკონტროლებდა.

მე-2 ტაიმის დებიუტში დოლბერგმა დუბლი გაიფორმა და მეტოქეს საქმე კიდევ უფრო გაურთულა. თამაშის ბოლოს დანიელებმა მეტოქეს ბურთი დაუთმეს, მაგრამ სკანდინავიელთა სწრაფი კონტრიერიშები უფრო სახიფათო იყო და 2 მათგანი გოლადაც აქციეს. მე-3 გოლი იოაჰიმ მეჰლემ გაიტანა, ხოლო ბოლოს წერტილი მარტინ ბრაიტვაიტმა დასვა და იულმენის გუნდი დამსახურებულად გავიდა მეოთხედფინალში.

დანია მეტოქეს ელოდება, რომელიც ნიდერლანდებისა და ჩეხეთის მატჩში უნდა გაირკვეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კასპერ დოლბერგი

ამ მატჩში ბევრი დანიელის გამორჩევა შეიძლება, მაგრამ გადამწყვეტი სწორედ დოლბერგის გოლები აღმოჩნდა, რომელმაც გატეხა უელსი.

იტალია-ავსტრია 2:1 (დდ)

ლონდონი. უემბლი

1:0 კიეზა (95), 2:0 პესინა (105), 2:1 კალაიჯიჩი (114)

იტალია: დონარუმა, დი ლორენცო, ბონუჩი, აჩერბი, სპინაცოლა, ბარელა (პესინა 67), ჟორჟინიო, ვერატი (ლოკატელი 67), ბერარდი (კიეზა 84), იმობილე (ბელოტი 84), ინსინიე (კრისტანტე 108)

ავსტრია: ბახმანი, ლაინერი (ტრიმელი 114), დრაგოვიჩი, ჰინტერეგერი, ალაბა, შლაგერი (გრეგორიში 106), გრილიტში (შაუბი 106), ლაიმერი (ილზანკერი 114), ზაბიცერი, ბაუმგარტნერი (შოპფი 90), არნაუტოვიჩი (კალაიჯიჩი 97)

ავსტრიის ნაკრები პირველად იყო გასული ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფში და, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქედ მძლავრი იტალია ჰყავდა, ნამდვილად არ სურდა, უსახელოდ გამოთიშულიყო.

და ღირსეულად ითამაშეს კიდეც. თუ პირველი ტაიმი იტალიელების იყო, მეორეში უკეთ ავსტრიელები გამოიყურებოდნენ, გოლის გატანაც მოახერხეს, მაგრამ არნაუტოვიჩს გახარება ვიდეორეფერმ არ აცადა.

90 წუთი უგოლოდ გაილია, შემდეგ კი საქმეში შემადგენლობის სიღრმეები ჩაერთო. რობერტო მანჩინიმ შეტევაში ცვლილებებს მიმართა, რომელმაც გაუმართლა. 95-ე წუთზე ანგარიში ფედერიკო კიეზამ გახსნა. აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მამამისს, ენრიკო კიეზასაც აქვს გატანილი და პირველი მამა-შვილი გახდნენ, რომლებმაც „ბებერი კონტინენტის“ მთავარ ტურნირზე გოლების გატანა მოახერხეს.

კიეზამ სპინაცოლას პასით გაიტანა, რომელმაც მალევე მეორე საგოლე მომენტი წამოიწყო, რომელიც კიეზას მსგავსად შეცვლაზე შესულმა პესინამ დაასრულა.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ავსტრია მაინც არ გატყდა და კალაიჯიჩმა მატჩს ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ ავსტრიას მეტისთვის არც ძალები ეყო და არც – დრო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლეონარდო სპინაცოლა

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა იტალიელთა მარცხენა მცველმა, რომელიც აქტიურად ერთვებოდა შეტევებში და ორივე გოლში დიდი წვლილი დაიდო. პირველი გოლი მისი უშუალო პასით გავიდა, ხოლო მეორეში თავად წამოიწყო სწრაფი კონტრშეტევა.

რობერტო მანჩინი:

– ჩვენ გამარჯვებამდე მივედით, რადგან ეს დავიმსახურეთ, მიუხედავად იმისა, რომ კუთხურიდან გაგვიტანეს. ადრე თუ გვიან ვიღაც გაგვიტანდა. სიმართლე გითხრათ, 2 გოლი გაცილებით ადრე უნდა გაგვეტანა და საქმე დამატებით დრომდე არ უნდა მისულიყო. ამის გამო დავიღალეთ, მაგრამ დამსახურებულად მოვიგეთ. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა თამაშში ცვლილების შეტანა მალევე დაიწყეს. ვიცოდი, რომ რთული მატჩი იქნებოდა, შესაძლოა, უფრო რთულიც, ვიდრე მეოთხედფინალში იქნება. შეხვედრებმა, შესაძლოა, ცუდად ჩაიაროს, მაგრამ ჩვენ კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ეს ტესტი, შესაძლოა, ჩვენთვის კარგიც გამოდგეს. ჩვენ ძლიერი მენტალიტეტი უნდა გამოვავლინოთ. „უემბლიზე“ დასაბრუნებლად 3 შეხვედრა გვრჩება. ბელგია თუ პორტუგალია? ეს 2 არაჩვეულებრივი გუნდია და მიჭირს არჩევანის გაკეთება.

ფრანკო ფოდა:

– ყველანი იმედგაცრუებულნი ვართ, მაგრამ ჩვენით მთელ ავსტრიას შეუძლია იამაყოს. მატჩის დასაწყისში გვინდოდა, მეტოქის ნახევარზე გვეთამაშა, მაგრამ იტალია ძალიან ძლიერი ნაკრებია და ამის საშუალება არ მოგვცა. მოწინააღმდეგისგან ამდენი კომპლიმენტი არასდროს მიმიღია. წარმოუდგენელია, როგორ იბრძოდა ჩემი გუნდი დამატებით ტაიმში. საოცარი თამაში იყო. 120 წუთის განმავლობაში სრულყოფილი სპექტაკლი ვიხილეთ. წინ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპია და კარგად უნდა მოვემზადოთ. ყატარში თამაში ჩვენი პრიორიტეტია. ყველამ დაინახეთ, რომ ავსტრია მშიერია და ამას კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო განცხადებები

პაატა გოროდინსკის კიდევ ერთი მოგონება დედისგან

შენ, ჩემო სულით მდიდარო, გულით კეთილო, რატომ გამწირა 1999 წლის 28 ივნისმა, რამ დაგატოვებინა ოჯახი და მეგობრები, რატომ მოუკლა დედას გული, რომელსაც 22 წელია, გულით არ გაუცინია. ღმერთო, სიკვდილს მონატრებული დედა სიცოცხლეს გევედრება საღი გონების, წერისა და სასაფლაოსთვის, რადგან 81 წლის დედას დაუტოვეს პასუხისმგებლობა, რომელსაც არ უნდა, შვილის ოჯახი დაიკეტოს მისი გახსენების გარეშე.

შვილო, ბედნიერი ვარ, რედაქციიდან რომ მოვდივარ. იცი, რატომ? იმიტომ, რომ „ერთხელ კიდევ წაიკითხავენ შენს მოგონებას“. შენი ცხოვრებიდან გაზეთის ფურცელი გერგო. ღმერთო, ნუ მოაკლებ ამ უბრალო რამეს ჩემს შვილს.

შენ ისეთი შვილი იყავი, რომელიც არავინ იცოდა. მეც მინდა თქვენთან, მაგრამ ვინ გააკეთებს შენი სახელის, სასაფლაოს არდავიწყებას. რამდენი რამეა თითოეულ სიტყვაში ჩანაფიქრი. თქვენ, უცოდველებო, მაინც გამიყავით ოჯახი, რომელიც ხარობდა, ოცნებობდა, რაზე?! რით შეიცვალა, იმით, რომ ოჯახმა გადაინაცვლა მუხათგვერდში.

შვილო, მინდა, წინა წერილიდან (2003 წ.) გავიმეორო სიტყვები: „ვერ ვივიწყებ შენი თვალებიდან გადმოღვრილ სითბოს... ყველას სიყვარულს უნაწილებდი. შური და ბოროტება გაუგონარი ცნებები იყო და გულუბრყვილობამდე მისული სიმართლით ცხოვრობდი, მუდამ სიყვარულით გამთბარი, მაგრამ მაინც სევდიანი თვალებით, ღვთაებრივი სიმშვიდით, მიტევებითა და სიყვარულით. შენი აურა იყო ცხოვრების ყოფა, არ შეგეძლო სიძულვილი. ასე გაატარე ის ცხოვრება, რაც ღმერთმა მოგცა“. ყოველთვის მეამაყებოდა შენი დედობა, ქართულ ტრადიციებზე გაზრდილს, არაფერი გეშლებოდა. ასე გალიე შენი გასავლელი გზა. რატომ დასრულდა აქ შენი ცხოვრება, ნუთუ ასე სჭირდებოდი მაღალ ღმერთს. ახლა კი მოგონებაა მეგობრებისგან საფლავზე შენი გატარებული წლების...

შენი ხსოვნა დედაშენზეა დამოკიდებული – რამდენ ხანს გაუძლებს ამ მწარე ცხოვრებას. შვილო, როცა დაიბადე, დაიბადა შენი სახელი და გვარი. შემდეგ ადამიანი ვალდებულია, მეორედ დაბადოს თავის სახელი და მოსაგონებელი გვარი. შენ მოკლე დროში შეძელი ეს და დატოვე ადამიანური მოგონება საკუთარი თავის.

შენ, შვილო, ჩემი გულის მალამო იყავი, თუ ჭრილობა მექნებოდა. ახლა კი ბევრი ჭრილობა მაქვს, მაგრამ არც მალამოა და არც შეხორცება. იმედს აღარავინ მაძლევს, ტკივილის გარდა. ძნელია სიბერეში ცხოვრება, მაგრამ მაინც ვცოცხლობ. ამ სიცოცხლეს მიზანი აქვს და ჭრილობებსაც. ამას ვუძლებ თქვენთვის. ცოტა ხანს მჭირდება სიცოცხლე. ეს თქვენ შეგიძლიათ... თქვენ შემდეგ, არ ვიცი, სად ვცხოვრობ.

თურმე ასე ყოფილა, ადამიანს რა ტანჯული სიცოცხლეც არ უნდა ჰქონდეს, სიცოცხლეზე უარს არასდროს იტყვის. „არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი“. მაგრამ გულზე ლოდი მადევს, ტვინი გაყინულია, ხმის ამოღების საშუალება არ მაქვს, ვერ გტირი. 17 წელი კილომეტრზე ისმოდა ჩემი ტირილი. ამის მოწმე კოლიაა. ახლა რა ხდება, მოვდივარ შენთან, ვერაფერს ვაცნობიერებ, სად ვარ და ვერ გტირი. რატომ?! გამეყინა გონება, სად წავიდა ჩემი ცრემლები, რამ გამოაშრო ჩემი თვალები, რატომ გაქვავდა გული. ველოდები თქვენგან დახმარებას. ძნელია, თქვენ მუხათგვერდში იყოთ და მე ვერ გაკითხავდეთ... ბედნიერი ვყოფილვარ ექვსი წლის წინ, ყოველ შაბათ-კვირას სასაფლაოზე ვიყავი, როცა იყო ძალა, ენერგია, სიარულიც არ მიჭირდა და არაფრის მეშინოდა. სად წავიდა ეს ყველაფერი... არის ასეთი გამოთქმა: „ადამიანი მაშინ კვდება, როცა საყვარელ ადამიანს მარხავს“.

ნათელში იყოს შენი სული!

უბედური დედის ღუღუნი ჯუღელისგან

ქეთო და ბაჩუკი ჭანტურიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბატონი

გურამ პარმენის ძე გაგოშიძის

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, უამრავ სანათესაოსა და სამეგობროს.

დაკრძალვა: სამშაბათს, 29 ივნისს, ქ. ზუგდიდში, ფურცელაძის 20.

დოდო (დოდოლია) გველესიანის ხსოვნას!

40 ცრემლიანი და ტკივილიანი დღე გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლეთ, ჰუმანურო, ინტელიგენტო, კეთილშობილო, გულისხმიერო ქალბატონო დოდოლია!

ძალიან ენატრებით და აკლიხართ ოჯახს – შვილს მაიკოს, შვილიშვილებს ივასა და ნიკუშას, შვილთაშვილებს ივას, მაიკუნასა და ნიკოს, რძლებს ნინოსა და ნუცას და ახლობლებს.

ნათელში გამყოფოთ უფალმა თქვენს სიძესთან ვანიკოსთან და მშობლებთან ერთად!

ახლობელი კუსუნა მზარელუა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, 1992-1995 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე, ისტორიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი, მწერალი, არაერთი წიგნის, ფილოსოფიური ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

აკაკი გასვიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1489

ევრო — 3.7601

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3789

100 რუსული რუბლი — 4.3639

ამინდის პროგნოზი 28 ივნისისათვის



პატარძალმა ქორწილში ძვირფასი საჩუქრები მოითხოვა და თავი შეირცხვინა

პატარძალმა სტუმრებისგან ძვირფასი საქორწინო საჩუქრების, მინიმუმ 400 დოლარის ღირებულების, მირთმევა მოითხოვა და სოციალურ ქსელებში თავი შეირცხვინა.

ქალმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა იმ ნივთების სია, რომელთა მიღებასაც ისურვებდა საკუთარ ქორწილში. მათ შორის იყო ძვირფასი დიზაინერული, ინტერიერის ნივთები, მანქანა, სახლის შესაკეთებელი თანხები ან ნაღდი ფული მინიმუმ 400 დოლარი პიროვნებაზე.

მისმა ამ გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ ასეულობით კომენტარი მიიღო. მათი უმრავლესობა მის სურვილებს გადამეტებულს და ეგოისტურს უწოდებდა.

– განა ეს გონიერი სურვილებია ჩვეულებრივი ადამიანისთვის? – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– იმედი მაქვს, სასიძემ მისი მიტოვება უკვე მოასწრო, – განაცხადა მეორემ საკუთარ კომენტარში.

გულმავიწყობამ ოჯახს სოლიდური მოგება დააკარგვინა

ამერიკის აიოვას შტატის ქალაქ დე-მოინის მკვიდრი ოჯახი ლატარიაში მსხვილი მოგების გარეშე იმის გამო დარჩა, რომ მეტისმეტად გვიან გაახსენდათ გათამაშების ბილეთის შემოწმება.

2019 წლის 26 ნოემბერს კლარა ჰენეუელტმა ლატარიის ბილეთი იყიდა და დაავიწყდა. 2021 წლის თებერვალში მისმა ქმარმა ბრედლი ჰენეუელტმა ცოლის ავტომობილში ლატარიის ბილეთი იპოვა და მისი შემოწმება გადაწყვიტა. აღმოჩნდა, რომ ოჯახს 100 ათასი დოლარი ჰქონდა მოგებული.

თებერვალშივე ჰენეუელტების ოჯახმა ლატარიის გათამაშების ორგანიზატორებს მოგებული პრიზის მისაღებად მიაკითხა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოგების მიღების ვადა 2020 წლის 30 ნოემბერს ამოიწურა.

– საწყენი ის კი არ არის, რომ აქამდე არ მქონია ასეთი თანხა, არამედ ის, შეიძლება ასეთი თანხა მქონოდა. ექვსი ქალიშვილი მყავს და კარგი იქნებოდა, თუ მათ დახმარებას შევძლებდი, – განაცხადა ბრედლიმ.

მამაკაცმა ასევე აღნიშნა, მის მეუღლეს სჯერა, რომ მათ კიდევ გაუმართლებთ და ახლა ყოველ კვირა ყიდულობს ლატარიის ბილეთებს.

ქურდებმა ფერმერს 800 კილოგრამი ნაკელი მოჰპარეს

ინდოეთის ჩხატისგარხის შტატის სოფელ დხურენაში პოლიციამ 800 კილოგრამი ძროხის ნაკელის ქურდობის ფაქტი დააფიქსირა.

ივნისის დასაწყისში, ღამის საათებში, უცნობმა პირმა 1,6 ათასი რუპიის ღირებულების საქონლის ნაკელი გაიტაცა.

– კამხან სინგხ კანვარმა ქურდობის თაობაზე განცხადება პოლიციაში 15 ივნისს შემოიტანა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ადგილობრივმა პოლიციელმა ხარიშ ტანდეკარმა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო გლეხებისგან საქონლის ნაკელს შემდეგ მისგან სასუქის დასამზადებლად კილოგრამს ორ რუპიად ყიდულობს.

პოლიციამ განცხადება დაუდგენელი პირების მიერ ქურდობის თაობაზე დაარეგისტრირა. ტანდეკარის თქმით, სამართალდამცავი ორგანოები დანაშაულს იძიებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 ივნისისათვის

ვერძი – დღეს ძალიან გაუმართლებთ ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. პრობლემების მოგვარებასა და ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **კურო** – არასტაბილური დღეა. მიზნის მიღწევას საკმაო შრომა დასჭირდება. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. საოჯახო საქმეების მოგვარებაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნათ. გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. **ლომი** – მამაკაცებისთვის იღბლიანი პერიოდია. განსაკუთრებით იოლად მოახერხებთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. **ქალწული** – გელით ახალი საინტერესო ნაცნობობა. მეგობრული და საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **სასწორი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **ღრიანკალი** – მშვიდი და სიხარულით აღსავსე პერიოდია. თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობა წარმატებული იქნება და კმაყოფილებას მოგგვრით. გელით ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან. **თხის რქა** – დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას, სავარაუდოდ, დღეს მოაგვარებთ. კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. **მერწყული** – პიროვნული მომხიბვლელობა თქვენს წარმატებას ხელს შეუწყობს. საკუთარ უნარებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **თევზები** – აგრესიული, პროვოკაციული და მაცდური დღეა. თავს ნურაფრით გაინებივრებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ზღვის კურორტზე კაცი ქალს ეუბნება:

– მოდით, ამაღამ შიშვლებმა ვიბანაოთ.

– და მე რომ ცურვა არ ვიცი?

– არც არის აუცილებელი!

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– ტკივილის ატანა შეგიძლია?

– დაოჯახებული ვიყავი.

– გასაგებია!

– ორჯერ!

– ჰოო!!!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი საშინელებას ვუყუროთ.

– კარგი, მიდი, კოსმეტიკა ჩამოიბანე!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მადლობა წუხანდელი საღამოსთვის. ძალიან მომეწონა.

– კი მაგრამ, გუშინ ხომ ერთმანეთს არ შევხვედრივართ?

– ჰოდა, მეც სწორედ მაგას არ ვამბობ...

●●●

ერთი ბავშვი მეორეს ეუბნება:

– გიგი, დედაშენი რამდენ ფულს გატანს სკოლაში ბუფეტისთვის, დედაჩემი კი ზედმეტ თეთრსაც კი არ მაძლევს. დედა მუდმივად სკოლის სამზარეულოში რეკავს და სადილის ფასს კითხულობს. შენ კი როგორ ახერხებ დედაშენის მოტყუებას?

– მხოლოდ ერთხელ მოვატყუე. სკოლის ბუფეტის ტელეფონის ნომერი მკითხა, მე კი მას რესტორნის მივეცი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოფო შევარდნაძემ შვილი გამოაჩინა

ჟურნალისტმა სოფო შევარდნაძემ შვილი გამოაჩინა. ანდრია, რომელიც უკვე 3 თვისაა, ჟურნალისტების ყურადღების ცენტრშია. მასმედიის წარმომადგენლებს კვლავაც აინტერესებთ, ვინ არის ბავშვის მამა, თუმცა სოფო ამ თემაზე არ საუბრობს.

– სამი თვეა, ამ ბედნიერებასთან ვცხოვრობ, – ასე დაასათაურა ინტერნეტში გავრცელებული ფოტო სოფო შევარდნაძემ.

ნინუცა მაყაშვილი „რუსთავი 2“-ის წამყვანი გახდა

მსახიობი ნინუცა მაყაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის წამყვანი გახდა. ის მაყურებელს სტუდიიდან ანი გიუნტერთან ერთად მიესალმა.

ნინუცა დილის გადაცემაში მანამდეც მუშაობდა, თუმცა ის ამინდის პროგნოზს გვაცნობდა და სხვადასხვა საინტერესო ადგილს სტუმრობდა. ამიერიდან ნინუცა სტუდიაში იჯდება და ტელემაყურებელს საინტერესო სიახლეებს თანაწამყვანებთან ერთად გააცნობს.

გიორგი უშიკიშვილს გული ატკინეს

მომღერალ გიორგი უშიკიშვილს გული ატკინეს. მიზეზი ეთნოგრაფიული მუზეუმიდან მისი სკოლის მენეჯერისა და პედაგოგის უარით გასტუმრება გახდა:

– ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა კუს ტბაზე, სადაც არაერთ ღონისძიებაში მიმიღია მონაწილეობა სხვადასხვა მთავრობის დროს, დღეს ჩემი სკოლის მენეჯერი და პედაგოგი უარით გამოისტუმრეს, რომ ჩემმა სკოლის ბავშვებმა და მშობლებმა ბილეთები აიღონ და მუზეუმის ტერიტორიაზე ხალხური სიმღერები შეასრულონ.

მიზეზი იყო, რომ სამინისტრო არ აძლევს უფლებას. ჩემზე გასაგებია, მაგრამ ბავშვებმა რა დააშავეს? ძალიან სამწუხაროა.

ლაშა მარგიანი: „მინდა, პატიოსნად ვიცხოვრო“



პოეტი ლაშა მარგიანი აცხადებს, რომ პატიოსნად შრომისა და ცხოვრების სურვილი აქვს:

– მინდა, პატიოსნად ვიცხოვრო, პატიოსნად ვიშრომო და, რაც არ უნდა მოხდეს, ამ გზას არასდროს გადავუხვევ.

ვხატავ ნივთებზე, მთელ სულსა და გულს ვდებ ამ ნამუშევრებში, მაგრამ ტრაგედია ის არის, რომ არაფერი გამოდის. არაფერში ფინანსურ მხარეს ვგულისხმობ.

ყველას მოსწონს, მაგრამ თითქმის არავინ ყიდულობს. ძირითადად იმათაც უჭირთ, ვისაც შეძენა უნდა და ამიტომ მეც არ შემიძლია, უფრო იაფად გავყიდო. მაშინ ან საერთოდ არ უნდა ვხატო, ან უნდა გავაჩუქო, ან გადავყარო.

არ ვიცი, ადამიანებს რა ჰგონიათ, ნაცნობებს თუ უცნობებს, რას ფიქრობენ ჩემზე, როგორი ვგონივარ და ა.შ. უბრალოდ, დავიღალე, ძალიან მაგრად დავიღალე.

სასაცილოა, რომ განა მხოლოდ ფული, უკვე ჩემი ნერვები, გრძნობები, ემოციები, სურვილები, ოცნებები, ლოცვები, ყველაფერი ისე დაპატარავდა, რომ მხოლოდ დღიდან დღემდე თავის მიტანას ჰყოფნის და იმის იქით აღარ გრძელდება.

ლაშა ონიანი: „აღმოსაფხვრელია სხვისი სახელით სარგებლის მიღება“

რეჟისორი ლაშა ონიანი მიიჩნევს, რომ კულტურაში აღმოსაფხვრელია სხვისი სახელით სარგებლის მიღება:

– განა გადარჩევა არ მომხდარა ან არ მოხდება. უბრალოდ, გადარჩევა ხარისხის მიხედვით უნდა ხდებოდეს და არა დაბლოკვით.

აღმოსაფხვრელია კონცეპტისა და იდეის მიტაცება. სასამართლომდე რაღაც უნდა გიცავდეს, ალბათ – სინდისი, რომელიც ნაკლებად შემორჩათ კულტურაში მყოფ ჩინოვნიკებს, რეჟისორებად გადაქცეულთ, მოსაყოლად არ ღირს.

აღმოსაფხვრელია ეშმაკურად მოქცევა და ღიმილით უარის თქმა ბოლო წუთს, როცა უკვე ყველაფერში გაარკვევ და შენი ზრდილობიანობით სარგებლობენ.

აღმოსაფხვრელია სხვისი სახელით სარგებლის მიღება და, პირველ რიგში, ტყუილი, რაც საკმაოდ მოდებულია კულტურაში, ბოლო წლებია. ეს პრობლემები მოდის შემთხვევით თანამდებობაზე მოხვედრილი ადამიანებისგან, რომელთაც წლები ელოდები, როდის ისწავლიან და შენთვის კი დრო გადის, აღარ ბრუნდება, საქმე კი ჩერდება.

მსახიობ ოლეგ თავაძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება

მსახიობ ოლეგ თავაძეს პანკრეასის სიმსივნე აღმოაჩნდა, ამიტომ ქიმიოთერაპიებისთვის საზოგადოების ფინანსური დახმარება ესაჭიროება:

ინფორმაცია მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა გაავრცელა და თითოეულ ადამიანს დახმარება სთხოვა:

– ჩვენი ძალიან მაგარი მეგობარი, ყველასათვის საყვარელი მსახიობი ოლეგ თავაძე, ყოველთვის სხვებზე მზრუნველი, დღეს თვითონ გახდა დასახმარებელი, ვინაიდან მას აღმოაჩნდა პანკრეასის მესამე უარყოფითი სიმსივნე, რომელმაც ჩაითრია ღვიძლი და ნაღველიც. ესაჭიროება ქიმიოთერაპია, რომელიც დაკავშირებულია დიდ ფინანსებთან. ამიტომ, გთხოვთ, დავუდგეთ გვერდით და თითოეული ლარიც წაადგება მის ჯანმრთელობას. ახლა ჩვენ ვჭირდებით მას. საქართველოს ბანკში მის სახელზე ანგარიშია გახსნილი. ძვირფასო უცხოეთში მყოფო ჩვენო თანამემამულეებო, გთხოვთ, გამოიჩინოთ გულმოწყალება და მცირედით დაეხმაროთ უნიჭიერეს მსახიობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. პიტნითა და ყინულით შეზავებული რომი ან არაყი; 2. ლეო დელიბის ოპერა; 3. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 4. დესერტი, ტკბილეული; 6. ქართველ მწერალ არსენ მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 11. ქალის სასიმღერო ხმა; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 19. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 21. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

თარაზულად: 5. სახელმწიფოს მიერ ფირმებზე, კერძო პირებზე გაცემული ფულადი დახმარება; 7. მდინარე კახეთში; 8. კროსვორდის გამომგონებელი; 10. სწრაფმავალი სპორტული მოტორიანი ნავი; 12. ძვირფასი სარწაო თევზი; 13. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ღვინის დანალექი; 20. მადნის, ქვანახშირის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 23. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 24. მკბენარა მწერი; 25. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ზომის ნიმუში; 26. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 27. უვიცი, უცოდინარი ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა